სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მარი ტოტიკაშვილი

სოფელ მეჯვრისხევის ონომასტიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე
ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ვიანორ ახალაია

გორი
2020

ანოტაცია

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია გორის მუნიციპალიტეტში შემავალი ისტორიული ძეგლებით გამორჩეული სოფელი - მეჯვრისხევი. დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით (და არა მხოლოდ დოკუმენტურ წყაროებზე) გამოკვეთილია საინტერესო მასალა.

ონომასტიკის შესწავლას ენათმეცნიერებაში დიდი ხნის ისტორია აქვს და ყოველი ახალი ნაშრომი აუმჯობესებს კვლევის შედეგებს. ვფიქრობთ, რომ ჩვენი ნაშრომით გარკვეულწილად წვლილს შევიტანთ შიდა ქართლის ამ დარგის უკეთ შესწავლაში.

სამეცნიერო კვლევის მიზანი იყო იმ ონომასტიკური მასალის გამოკვლევა, რომელიც სოფელ მეჯვრისხევშია წარმოდგენილი. კერძოდ, ეს ეხება: სოფლის სიძველეებსა და წეს-ჩვეულებებს, ტოპონიმებს, ჰიდრონიმებს, ზოონიმებს, ანთროპონიმებსა და გვარ-სახელებს. ამისათვის სჭირო იყო შესაბამისი მასალის აღნუსხვა, კლასიფიკაცია და მათი ენათმეცნიერული ანალიზი.

მეცნიერული კვლევა დაეფუძნა აღწერით და ისტორიულ-შედარებით მეთოდს

M. Totikashvili

Onomastics of village Mejvriskhevi

Annotation

The presented Research paper discusses the village of Mejvriskhevi in Gori Municipality, which is distinguished by its historical monuments. Based on documentary sources and not only documentary sources, all the interesting material has been identified.

The study of onomastics has a long history in linguistics and each new paper improves the research results. We think, that with our work we will contribute to a better study of this field in Shida Kartli.

The aim of the scientific research was to study the onomastic material, Which is represented in the village of Mejvriskhevi. In particular, it refers to the antiquities and customs of the village, toponyms, hydronyms, zonyms, anthroponyms and surnames. It was necessary to indicate the relevant material ,Classification and their linguistic analysis.

Scientific research Based on description and the historical-comparison method.

შინაარსი

(სარჩევი)

შესავალი ---------- 6

თავი I - სოფელ მეჯვრისხევის ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერა ---------- 9

თავი II - სოფლის სიძველეები ---------- 12

2.1 ეკლესიები ---------- 12

2.2 შინ მოუსვლელთა ტყე-პარკი ---------- 16

2.3 საფლავის წარწერები ---------- 16

2.4 ესტატე ერისთავის საცხოვრებელი სახლი ---------- 17

2.5 მირმანოზ ერისთავის ციხე-სასახლე ---------- 18

2.6 კოტე და შალვა ერისთავების სასახლე ---------- 19

2.7 ანასტასია ერისთავი - ხოშტარიას საცხოვრებელი სახლი ---------- 19

2.8 პატარა მეჯვრისხევის სკოლა ---------- 20

თავი III - სოფელში არსებული წეს-ჩვეულებები, ტრადიციები და დღესასწაულები 21

3.1 უსანეთობა ---------- 21

3.2 მეკვლეობა ---------- 22

3.3 ჭონა ---------- 22

3.4 ჭიაკოკონობა ---------- 23

3.5 ჭიდაობა ---------- 23

თავი IV - სოფლის ტოპონიმები ---------- 25

4.1 მარტივფუძიანი ტოპონიმები ---------- 27

4.2 წარმოქმნილი ტოპონიმები ---------- 28

4.3 სიტყვათშეერთებით ნაწარმოები ტოპონიმები ---------- 29

თავი V - სოფლის ჰიდრონიმები ---------- 31

5.1 ძირეული ჰიდრონიმები ---------- 31

5.2 რთულფუძიანი ჰიდრონიმები ---------- 32

თავი VI - გვარ-სახელები ---------- 33

6.1 -ძე სუფიქსიანი გვარები ---------- 43

6.2 -შვილ სუფიქსიანი გვარები ---------- 45

თავი VII - ანთროპონიმები (მეტსახელები) ---------- 51

7.1 ცნობილი პირების სახელები მეტსახელებში ---------- 51

7.2 ლიტერატურული გმირებისა და მხატვრული პერსონაჟების სახელები მეტსახელებში ---------- 52

7.3 გარეგნობის გამომხატველი მეტსახელები ---------- 53

7.4 თევზის, ცხოველების და ფრინველთა მსგავსებით შერქმეული მეტსახელები54

7.5 ფიზიკური, გონებრივი და სხვა თვისებრივი ნაკლის გამომხატველი მეტსახელები ---------- 55

7.6 თვისების და ხასიათის მიხედვით შერქმეული მეტსახელები ---------- 55

7.7 უცნობი სემანტიკის გამომხატველი მეტსახელები ---------- 56

7.8 კნინობით - მოფერებითი, ალერსის გამომხატველი მეტსახელები ---------- 56

თავი VIII - ზოონიმები ---------- 58

8.1 პირუტყვთა სახელები ---------- 58

8.2 ფრინველთა სახელები ---------- 58

დასკვნა ---------- 60

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 62
საილუსტრაციო მასალა ---------- 64

ონომასტიკური მეცნიერება თანამედროვე ლინგვისტიკაში უმნიშვნელოვანეს ფენომენს წარმოადგენს თავისი თეორიული პრინციპებით.

სიტყვებს, რომლებიც ზოგადიდან კონკრეტულ საგნებს, პიროვნებებს ან ტერიტორიებს განასხვავებს, საკუთარი სახელი ჰქვია. ადამიანები ყოველდღიურად ვიყენებთ ონიმებს, რომლებიც ნომინირებულია ადამიანის მიერ ან მისი ნომინაცია განპირობებულია არსებული ისტორიული მოვლენების, გეოგრაფიული ადგილმდებარეობის, რელიგიური ზეგავლენის, კულტურისა თუ ეთნოსის მიერ, რომელსაც ენათმეცნიერების ერთ-ერთი მიმართულება - ონომასტიკა შეისწავლის.

„ონომასტიკა“ ბერძნული სიტყვაა და „სახელდების /სახელწოდების ხელოვნებას“ შეისწავლის. ონომასტიკა სხვა მეცნიერებთან შედარებით, ახალი ლინგვისტური დისციპლინაა და თავისი მრავალფუნქციური მეთოდებით ენათმეცნიერების კომპლექსურ დისციპლინას წარმოადგენს. [31: 11-12]

ამ დისციპლინას ითავისებს მეცნიერების სხვადასხვა დარგი: ისტორია, გეოგრაფია, ეთნოლოგია, ლიტერატურა... საქმე ისაა, რომ ხშირად ისტორიულ - გეოგრაფიული თუ სხვა სამეცნიერო კვლევები სწორედ საკუთარ სახელზე გადის. მაგრამ საკუთარი სახელი, უპირველესად, არის სიტყვა, სიტყვა კი ლექსიკური ერთეულია, რომელსაც სწავლობს ლინგვისტიკა. ენათმეცნიერება მოიცავს ლექსიკოლოგიას და ლექსიკოგრაფიასაც. ონომასტიკა ლექსიკოლოგიის მნიშვნელოვანი ნაწილია, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ დღეს იგი თითქმის დამოუკიდებელ დარგად არის გამოყოფილი მისი შესასწავლი სპეციფიკური მასალის გამო - ესაა სივრცესა და დროში დასაბამითგან განთავსებული ლექსიკური ერთეულები - საკუთარი სახელები. [6: 6]

,,ონომასტიკა აერთიანებს სხვადასხვა რიგის საკუთარ სახელთა შემსწავლელ ქვედარგებს, ესენია:

ტოპონომიკა - შეისწავლის ადგილთა სახელებს;

ჰიდრონომიკა - სწავლობს მდინარეებს, წყაროებს, ტბებს;

ანთროპონიმიკა - მეცნიერებაა ადამიანთა გვარ - სახელების, მეტსახელების შესახებ;

კოსმონომიკა - ციურსხეულთა შემსწავლელი მეცნიერებაა;

ზოონომიკა - ცხოველთა სახელების შემსწავლელი მეცნიერება;

ეთნონიმიკა - მეცნიერება, რომელიც სწავლობს ხალხების სახელებს და ა.შ. [24: 8]

ონომასტიკის შესწავლას ენათმეცნიერებაში დიდი ხნის ისტორია აქვს და ყოველი ახალი ნაშრომი აუმჯობესებს კვლევის შედეგებს. ვფიქრობთ, რომ ჩვენი ნაშრომით გარკვეულწილად მცირე წვლილს შევიტანთ ამ დარგის უკეთ შესწავლაში.

სამეცნიერო კვლევის მიზანი იყო იმ ონომასტიკური მასალის გამოკვლევა, რომელიც სოფელ მეჯვრისხევშია წარმოდგენილი.

წარმოდგენილი ნაშრომის ამოცანას წარმოადგენს იმ ონომასტიკური მასალის აღწერა და კლასიფიკაცია, რომელიც სოფელშია დაცული.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, გამოყენებულია აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი მეთოდი.

ნაშრომი შედგება შესავლის, რვა თავისა და დასკვნითი ნაწილისაგან. ნაშრომს თან ახლავს გამოყენებული ლიტერატურა და საილუსტრაციო მასალა.

პირველ თავში განხილულია სოფლის ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა.

მეორე თავში წარმოდგენილია სოფლის სიძველეები: ეკლესიები, შინ მოუსვლელთა ტყე-პარკი, საფლავის წარწერები, ესტატე ერისთავის საცხოვრებელი სახლი, მირმანოზ ერისთავის ციხე-სასახლე, კოტე და შალვა ერისთავების სასახლე, ანასტასია ერისთავი - ხოშტარიას საცხოვრებელი სახლი.

მესამე თავში მოცემულია სოფელში არსებული წეს-ჩვეულებები, ტრადიციები და დღესასწაულები: უსანეთობა, მეკვლეობა, ჭონა, ჭიაკოკონობა, ჭიდაობა.

მეოთხე თავში წარმოდგენილია სოფლის ტოპონიმები. მოცემულია მოსაზრებები სოფლის სახელწოდების ეტიმოლოგიის შესახებ, ასევე გამოყოფილია მარტივფუძიანი, წარმოქმნილი და სიტყვათშეერთებით ნაწარმოები ტოპონიმები.

მეხუთე თავში მოცემულია სოფლის ჰიდრონიმები. კონკრეტულად, ძირეული და რთულფუძიანი ჰიდრონიმები;

მეექვსე თავში წარმოდგენილია გვარ-სახელები. კერძოდ: -ძე სუფიქსიანი გვარები და -შვილ სუფიქსიანი გვარები.

მეშვიდე თავში მოცემულია ანთროპონიმები, სადაც გამოიყო მეტსახელების 8 სემანტიკური ჯგუფი: 1. ცნობილი პირების სახელები მეტსახელებში; 2. ლიტერატურული გმირებისა და მხატვრული პერსონაჟების სახელები მეტსახელებში; 3. გარეგნობის გამომხატველი მეტსახელები; 4. თევზის, ცხოველების და ფრინველთა მსგავსებით შერქმეული მეტსახელები; 5. ფიზიკური, გონებრივი და სხვა თვისებრივი ნაკლის გამომხატველი მეტსახელები; 6. თვისების და ხასიათის მიხედვით შერქმეული მეტსახელები; 7. უცნობი სემანტიკის გამომხატველი მეტსახელები; 8. კნინობით - მოფერებითი, ალერსის გამომხატველი მეტსახელები.

მერვე თავში წარმოდგენილია ზოონიმები, კერძოდ: პირუტყვთა სახელები და ფრინველთა სახელები.

თავი I

სოფელ მეჯვრისხევის ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერა

სოფელი მეჯვრისხევი არაერთ წერილობით ძეგლში იხსენიება და მას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ქართლში.

სოფელი მეჯვრისხევი მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე, გორიდან 20 კმ-ზე, მდინარე მეჯუდის მარცხენა ნაპირზე. სოფელი უძველესი დროიდან ყოფილა დასახლებული, რასაც მოწმობს მის ტერიტორიაზე ნაპოვნი ბრინჯაოს ცულები, შუბები და სხვა სამეურნეო თუ საბრძოლო დანიშნულების იარაღი. იგი მნიშვნელოვან სავაჭრო გზაზე მდებარეობდა და V-XVII სს-ში აქტიურად იყო ჩართული ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. მეჯვრისხევი ქართლის რეგიონში განთქმული იყო მოჭიქული თიხის ჭურჭლის წარმოებით. ჭიქურის დასამზადებლად იყენებდნენ სოფლის მიდამოებში არსებულ კვარცის ქვიშას. XIX ს-ის 80-იან წწ მეჯვრისხევი წარმოადგენდა ახლომდებარე სოფლების ცენტრს და

მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ამ მხარის საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. აქ სისტემატურად იმართებოდა ბაზრობები, ჩამოყალიბებული იყო ადგილ. თეატრალური წრე. [12: 61]

მეჯვრისხევს ჩრდილოეთით ესაზღვრება სოფელი ღრომი, აღმოსავლეთით სოფლები - ბერშუეთი და ზერტი, სამხრეთით - სოფელი ხელთუბანი და თორტიზა, დასავლეთით - სოფლები ახრისი და ახალუბანი

სოფელში ჩამოედინება მდინარე მეჯუდა და მას დიდ და პატარა მეჯვრისხევებად ყოფს. აღნიშნული მდინარე სათავეს იღებს ჟამურის მთის დასავლეთ კალთაზე და მდინარე ლიახვს უერთდება. მეჯუდის სიგრძე 46 კილომეტრია, ხოლო აუზის ფართობი - 651 კმ. კვადრატი. იგი საზრდოობს მიწისქვეშა წყლებით, ასევე თოვლისა და წვიმის წყლებით.

მეჯვრისხევის სიმაღლე ზღვის დონიდან 800 მეტრს აღწევს. ის 7 ბალიან სეისმურ ზონაში მდებარეობს.

მეჯვრისხევის მიწებს რწყავს ტირიფონის არხი, რომელიც მთელ სოფელს დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე გასდევს.

სოფელში არის სელური ხასიათის მდინარეებიც. ესაა ტალახიან-ქვიშიანი ნაკადები, რომელთა წარმოშობას ხელს უწყობს ხანმოკლე, მაგრამ ინტენსიური თავსხმა წვიმები, ადგილის მნიშვნელოვანი დახრილობა და ნაშალი მასალის დიდი რაოდენობით არსებობა. სელურ მდინარეს მეჯვრისხეველები ღვარცოფს უწოდებენ. ასეთ მდინარედ ცნობილია სოფლის აღმოსავლეთით არსებული პატარა მდინარე ,,ქოთახევა", რომელიც ზაფხულობით მთლიანად დამშრალია. [10: 4-5]

სოფელი მეჯვრისხევი სახელდება სხვადასხვა ისტორიულ წყაროში.

ჟურნალის ,,მაცნე" 1969 წლის გამოცემაში ამოვიკითხავთ შემდეგს: ,, შეწირულობის წიგნი შალვა ქვენიფნეველ ერისთავისა ლარგვისისადმი (1470წ.) აღვაშენენ სოფელნი მეჯუდის ხევსა: სოფელი ახალუბანი, ასეთსა ადგილსა, რომე ამისითგან იქ კაცი არ სახლებულ იყო". [3: 191-201]

,,1605 წ. ქართლის მეფე გიორგი X მეჯვრისხევს იდგა, თაფლი მოართვეს. შიგ ფუტკარი იყო. პირში რომ ჩაიდვა ეცა ფუტკარმა, პირი გაუსივდა და მიიცვალა". [18: 342]

1732 წ. მოვიდა ლეკის ჯარი... დაუხვდა გორის ფაშა, გაემარჯვათ ლეკებს, ფაშა მოკლეს. მეჯვრისხევს დაუხვდათ ამილახორი გივი, ამოწყვიტა ლეკნი, დააყრევინა ტყვე და ნაშოვარი". [19: 62]

,,აქ ციხის ძირს, ერთვის ლიახვს მეჯვდის მდინარე, არს ბიყრამდე მეჯვდა ვენახოვანი, ხილიანი. ამიერ და იმიერ დაბნები მრავალნი; თესლთა, მარცვალთა მოსალით ნაყოფიერი. გორს ზეით ბერბუკს, ერთვის მეჯვდას სველნეთის ფშანი. არს მეჯვდაზედ, იკორთისა და კირბლის მთის ძირს დაბა მეჯვდა, რომლისაგან ისახელა მდინარე ესე" . [17: 368]

ზემო ქართლის მდევრების განწესება, ერეკლე II, აგვისტო, 1772 წ. ,, როდესაც რომ მუხრანიდან ყარაული მოვიდეს, ცხენიანი ჯარი წავიდაო, ყველანი გაფრთხილდეს, თუ მხურვალეთში შევიეს ლეკის ჯარი, როგორც გაჩენილი არის, მდევარი შეიყაროს, თავი და ბოლო მოუჩხრიკონ, ყარაულები გაგზავნონ, თავს დააყენონ; მდევარს დაუძახონ, მეჯვრისხევს შეიყარონ". [18: 426]

,, 1770 წ. 6 ივნისს გაჩნდა დიდი ჭირიანობა თბილისში. ერეკლე გაიხიზნა ქართლში ნოემბერში ბელოთ. მეჯვრისხევიდან გორში ჩამოიბარგა დედაწულით. 1771 წლის აპრილში - თბილისში". [9: 317]

მეჯვრისხევში XIX ს. ორმოცდაათიან წლებში კულტურული მუშაობა რომ წარმოებდა, ამას ადასტურებს ელისაბედ ერისთავის მოგონება: ,,ამბობდნენ, რომ სოფ. მეჯვრისხევი წარმოადგენდა ძალიან კულტურულ ევროპულ კუთხეს. სოფელს ამშვენებდნენ მანანა მირმანოზ ერისთავის ასული - ივანე ორბელიანის მეუღლე, ზაფხულობით ჩამოსულნი თავის სამშობლოში თბილისიდან, ი. ჭავჭავაძის მეუღლე, მარიამ შალვა ერისთავის ასული და სხვა წევრნი ერისთავიანთ ოჯახისა". [13: 274-275]

თავი II

სოფლის სიძველეები

ძნელად თუ მოიძებნება საქართველოში ისტორიული თუ არქიტექტურული ძეგლებით ისეთი მდიდარი სოფელი, როგორიც მეჯვრისხევია.

მისი ტერიტორიიდან ცნობილია შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენები: ორი ორწახნაგა ცული დაქანებული ყუით, მრგვალი სატარე ხვრელით, თხელი ტანითა და მომრგვალებული ფხით; სპილენძის ოვალური ფორმის თასი ზედაპირზე ფრინველის გამოსახულებით. ნივთები ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

1947 წ. მეჯვრისხევში შემთხვევით აღმოჩნდა სამარხი, რომელშიც მიცვალებულის ჩონჩხთან ერთად იყო შემდეგი ნივთები: თიხის ჭურჭელი, ოქროს ბეჭედი, სამი ვერცხლისა და ერთი ოქროს მონეტა. ვერცხლის მონეტები დაკარგულია. ოქროსი კი ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძია. თარიღდება I-III სს-ით. მასალის ნაწილი ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში

(ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი), ნაწილი – ს.მაკალათიას სახ. გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. [29]

2. 1 ეკლესიები

მეჯვრისხევი გამოირჩევა ეკლესიების სიმრავლით, სოფელში დგას რამდენიმე ღვთისმშობლის ეკლესია.

ღვთისმშობლის ეკლესიები:

ერთ-ერთი ღვთისმშობლის ეკლესია დგას უკუღმა უბანში, პატარა მეჯვრისხევში. ნაგებია აგურით, რიყის ქვითა და ნაწილობრივ თლილი ქვის კვადრებით. ეკლესიაში არის საფლავის ქვა, მშენებელის სახელის წარწერით, თუმცა იგი წაშლილია. ეკლესიის მშენებლობაში დიდი წვლილი მიუძღვის დავით ქრისტეფორეს ძე - სუხიშვილს, რომელიც 1865 წელს დაიბადა. [10: 34-35]

ღვთისმშობლის ეკლესია დგას ხომასურიძიანთ უბანში, პატარა მეჯვრისხევში. ეკლესია აშენებულია 1819 წელს, ხომასურიძეების მიერ. აღმშენებლების ვინაობა ამოიკითხება კარის თავზე გამოსახული რელიეფური ჯვრის მარცხნივ ფილაზე: ,,ქ. მოიხსენიე უფალო ამშენებელი ყოვლად წმინდის ეკლესიისა ხომასურიძე ბერი ივანეს ძე". ეკლესიის ერთ მხარეს მდებარეობდა სასიმღეო გუნდის ქანდარა, რაც, თურმე საოცარ აკუსტიკას ქმნიდა წირვა-ლოცვის დროს. [10: 33-34]

ღვთისმშობლის ეკლესია, ,,არქიტ. ძ. დგას ჩალხისუბანში. თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. (8,2 X 8მ) ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა. ნაგებია რიყის ქვით". [12: 63]

ღვთისმშობლის ეკლესია, ,,არქიტ. ძ. დგას სოფლის აღმ-ით, ძველ სასაფლაოზე. თარიღდება IX-X სს. ეკლ. დარბაზულია (9,35 X 35მ), ნაგებია ქვიშაქვის დიდი ქვები". [12: 64]

წმინდა მარიამის ეკლესია დგას ქეცხურის უბანში, მაღლობზე, საიდანაც კარგად მოსჩანს მთელი მეჯვრისხევი. კედელზე ამოიკითხება შემდეგი შინაარსის წარწერა: ,, წმინდა მარიამის ეკლესია აღადგინა 1990 წელს სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოებამ." ეკლესია არის მოუხატავი, მხოლოდ დასავლეთის

კედელზე ვნახავთ წმინდა გიორგის ნახატს, თვითნასწავლი - რეზო მექვაბიშვილის მიერ შესრულებულს. [10: 27-28]

წმინდა გიორგის სახელობის უსანეთის ეკლესია ,,არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრშ. დას. ფასადზე, მარმარილოს ფილაზე არსებული წარწერის თანახმად ეკლ. 1851 წ. აუშენებია ივანე ზაქარიას ძე ხახუტაშვილს. ეკლ. დარბაზულია (12 X 7 მ), ნაგებია აგურითა და რიყის ქვით. ნაგებობა დაზიანებულია. შესასვლელები სამხრ-ითა და დას-ითაა, თითო სწორკუთხა სარკმელი - ოთხივე მხარეს ნახევარწრიული აფსიდის სარკმლის გვერდებზე ორ-ორი სწორკუთხა ნიშია, შენობის გრძივ კედლებზე თაროსებრკაპიტელებიანი პილასტრებია”. [12: 63]

დასავლეთის ფასადზე მხედრული ასოებით ამოვიკითხავთ შემდეგ წარწერას: ,, ესე ეკლესია ქვიტკირისა სახელსა ზედა წმინდის გიორგის უსენათისასა აღვაშენე მღვდელმა იოანე ზაქარიას ძემ ხახუტოვმა საკუთარითა შრომითა და წარსაგებლითა ჩემითა მეოხად ჩემთა ძეთა და ასულთა ჩემთათვის ჩკნას წელში".

უსანეთის ეკლესიის ერთ კედელზე ამოვიკითხავთ თეთრ მარმარილოს ფილაზე წარწერას: ,, მოიხსენე უფალო, მონა შენი მღვდელი გიორგი იოანეს ძე ხახუტაშვილი. დაიბადა 18 ივლისს 1824 წელს, გარდაიცვალა 29 ივნისს 1898 წ. იმღვდელმსახურა 50 წ.".

1988-1989 წლებში ეკლესიას ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები.

რაც შეეხება ტაძრის მოხატულობას, 1989 წელს იგი ზეთის საღებავებით მოხატა რეზო მექვაბიშვილმა. აქ ძირითადად დახატულია სცენები ქრისტეს ცხოვრებიდან.

ტაძრის ეზოში დგას თეთრი მარმარილოს მწუხარე ქალის უნიკალური ქანდაკება. როგორც სოფლის მაცხოვრებლები ამბობენ, ქანდაკებაში გამოხატულია გიორგი ჩიკოიძის ქვრივის სახე.

2012 წელს ტაძარს ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები. ბიზნესმენმა ვაჟა უსანეთაშვილმა უსანეთის ეკლესია პირვანდელი სახით აღადგინა, შემდეგ კი იგი მეუფე ანდრიას სტიქაროსანმა ლექსო ფსუტურმა ხელახლა მოხატა. [10: 29-31]

წმინდა გიორგის ეკლესია დგას პატარა მეჯვრისხევში, სოფლის ჩრდილოდასავლეთით სასაფლაოზე.

სალოცავში დგას საფლავის ქვა, სადაც ამოვიკითხავთ წარწერას: ,,მღვდლის გაბრიელ იოსების ძე გამრეკელის მეუღლე თებრონია იოანეს ასული გარდაიცვალა 1898 წელს, მაისის 31. დაბადებიდან 70წ". [10: 36-37]

ეკლესიას რამდენიმე წლის წინ ჩაუტარდა მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სურფ-სარქისის ეკლესია დგას სოფლის ცენტრიდან ორასიოდე მეტრის მანძილზე.

არსებობს გადმოცემა ტაძრის აშენების შესახებ, რომლის მიხედვითაც, მეჯვრისხეველმა აზნაურმა (თულაშვილმა) ცოლად შეირთო სომეხი ქალი, რომელიც დიდგვაროვანი ყოფილა. სწორედ მას აუშენებია სურფ-სარქისის ეკლესია. [10: 37-38]

სოფელში დგას 1851 წელს აგებული **წვერ-უსანეთი (მთავარი უსანეთი),** აშენებულია ადგილობრივი მღვდლის იოანე ზაქარიას ძე ხახუტაშვილის მიერ. ეკლესიას წვერ-უსანეთს უწოდებენ, რადგან იგი უსანეთის მთაზეა აგებული. მის აშენებამდე მეჯვრისხევისა და მისი მისი შემოგარენის მცხოვრებნი უსანეთობას, მაისის ბოლო რიცხვებში, სალოცავად ე. წ. წვერ-უსანეთში მიდიოდნენ.

სოფელში არსებობს ზეპირი გადმოცემა, რომლის მიხედვითაც, უსანეთის მთაზე სახელოვანი ვაჟკაცი - უსენი ცხოვრობდა. პროფესორი ბადრი რაზმაძე გამოთქვამს ვარაუდს, რომ მთის სახელწოდება უსენის სახელიდან წარმოდგა. ამ სახელწოდებამ დროთა განმავლობაში გარკვეული ცვლილებები განიცადა.

საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების მუზეუმში ინახება წვერ-უსანეთიდან წამოღებული ქვის სტელა, წაღებული გიორგი ბოჭორიძის მიერ.

1998 წელს, წვერ-უსანეთის ეკლესიის შესწავლისას, ადგილობრივი მცხოვრების, ნიკა მღებრიშვილის დახმარებით, ეკლესიის სამხრეთის კედლის დასწვრივ, საკურთხევლის მხარეს მდებარე მოზრდილი ნიშის ქვეშ, შენობის ნაშალ ფენაში, 30 სანტიმეტრის სიღრმეზე, აღმოჩენილ იქნა წმ. გიორგის გამოსახულებიანი რკინის ფირფიტები. [10: 39-41]

წმინდა გიორგის ნიში დგას ლომისაში, მთის ფერდობზე. ნაგებია რიყის ქვით. თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით. მისი ზომებია 5,9X3,95 მ.

1987 წელს მეჯვრისხეველ ქველმოქმედ ნატა ესტატე ასულ მექვაბიშვილს ჰქონია გამოცხადება იმის მინიშნებით, რომ აუცილებლად აღედგინა წმინდა

გიორგის ნიში. მან საკუთარი სახსრებით აღადგინა შენობა, დიდი შემწეობა აღმოუჩენია თანასოფლელ თეიმურაზ ივანეს ძე ილურიძეს.

ლომისის ტყეში არის ასწლოვანი მუხები. არსებობს რწმენა იმისა, რომ თუ ტყიდან ვინმე მუხის ხეს წამოიღებს, რაიმე უბედურება დაატყდება თავს. სოფლის მცხოვრებლები ასახელებენ ამის კონკრეტულ მაგალითებსაც და ამიტომ ტყეს უფრთხილდებიან.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, ლომისის ტყე და წმინდა გიორგის ნიში მოექცა საზღვართან ახლოს, რის გამოც, მოსახლეობა ერიდება და ნაკლებად სტუმრობს ამ ულამაზეს ადგილს. [10: 35-36]

კვირაცხოვლის ეკლესია ,,დგას სოფლის განაპირას, აღმ-ით, სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლ. დარბაზულია (5X 3,2 მ), ნაგებია რიყის ქვით, კონსტრ. ნაწილები შირიმისაა. ძლიერ დაზიანებულია. შესასვლელი სამხრ-ის კედელშია (მისი ზედა ნაწილი ჩამონგრეულია). ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ერთი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს სწორკუთხა ნიშებია. საკურთხეველი დარბაზისგან გამოყოფილია პილასტრებზე დაყრდნობილი სატრიუმფო თაღით. საბჯენი თაღი კრონშტეინებს ეყრდნობა. ჩრდ. კედლის ცენტრში სწორკუთხა ნიშია. დას. ფასადის ფრონტონში მთლიანი შირიმის ქვისგან გამოკვეთილი ჯვარია”. [12: 63]

2.2 შინ მოუსვლელთა ტყე-პარკი

1972 წელს სოფელში გაშენდა შინ მოუსვლელთა ტყე-პარკი იმ მეჯვრისხეველი ვაჟკაცების მოსაგონად და სახელების უკვდავსაყოფად, რომელთაც თავი შესწირეს სამშობლოს თავისუფლებას. ამ ადგილას მათ სახელზე დაირგო 24 ფიჭვის ხე.

ამ ტერიტორიაზე აღიმართა ,, მწუხარე დედის" ობელისკი, მოქანდაკე სიმონ ზაზაშვილის მიერ.

ტყე-პარკი გაშენდა იმედით, რომ ეს ადგილი იქცეოდა მეჯვრისხეველთა უსაყვარლეს ადგილად. ერთხანს, ეს მართლაც ასე იყო და აქ იკრიბებოდა სოფლის ახალგაზრდა თუ ხანდაზმული მაცხოვრებლები, თუმცა დღეს აღნიშნული ადგილი მიტოვებულია და მწუხარე დედა ვეღარ შეჰხარის აქ მოფენილ ახალგაზრდობას.

ამჟამად იგეგმება ამ ადგილას კვლავ გასართობი პარკის მოწყობა.

მემორიალი ,, სამარადისო დიდება გმირებს"

2014 წელს სოფელში დაიდგა მემორიალი ,, სამარადისო დიდება გმირებს".

მემორიალზე იმ ოთხი მეჯვრისხეველი გმირის სახელია წარწერილი, რომელთაც თავი გასწირეს სამშობლოსათვის. ეს ოთხი ვაჟკაცია: გიორგი ბიბილაშვილი, დაიკარგა აფხაზეთის ომში, გია ხახუტაშვილი - დაიღუპა ცხინვალის ომში, ზურაბ ურიგაშვილი და ზაქარია კვირიკაშვილი - დაიღუპნენ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომში.

2.3 საფლავის წარწერები

სოფლის ჩრდილოდასავლეთით, პატარა მეჯვრისხევში, წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში და მის გარშემო მდებარეობს სასაფლაო. აქ შესაძლებელია სხვადასხვა დროისა და ფორმის საფლავის ქვის ნახვა. აღსანიშნავია, რომ მეოცე საუკუნემდე არსებული ქვები ოსტატის გაკეთებულია, ხოლო შემდეგდროინდელი - ყალიბშია ჩამოსხმული. საფლავების უმეტესი ნაწილი დაზიანებულია იმდენად, რომ ჭირს წარწერების ამოკითხვა. ქვათა დიდი ნაწილი ნახევრად დაფარულია მიწით, ხავსით, არის ჩამომტვრეულები, ამოტეხილები. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია ზოგიერთი ქვის ამოკითხვა.

ეკლესიაში ჩრდილოეთის კედელთან არსებულ ქვაზე ამოიკითხება შემდეგი წარწერა: **,,მღვდლის გაბრიელ იოსების ძე გამრეკელის მეულლე თებრონია იოანეს ასული გარდაიცვალა 1898 წელს. მაისის 31. დაბადებიდან 70 წ ".**

ეკლესიის ქვემოთ ერთ-ერთი საფლავი ასე ამოიკითხება: **,, მომიხსენიე უფალო საფლავსა შინა მდებარე ვანო ხომასურიძის ასული ბარბარე. აღმომკითხველო შენდობა მიბძანეთ".**

სოფლის ძველ სასაფლაოზე ამოვიკითხავთ ასევე შემდეგ წარწერებს:

,, საფლავსა შინა მდებარე ვარ გვამი გიორგი .....".

,,დედმამასა და ორსა დასა დაიბადა 1873 წ. აღვესრულე 1895 წელსა მარტის 5 დღეს. წამკითხველო გთხოვთ შენდობა მიბძანეთ".

,,ქეთევანი .. წლისა ცოლი გრიგოლისა".

„ვიყავ ცხრა მეფისა წლისა ისაკ მოციქული მეუღლე მარიამი".

2.4 ესტატე ერისთავის საცხოვრებელი სახლი

ესტატე ერისთავის საცხოვრებელი სახლი მდებარეობს ჩარხისუბნის დასაწყისში. თავდაპირველი ნაგებობა თარიღდება XVII-XVIII საუკენეებით, ხოლო შემდგომი - XIX საუკუნით.

სახლი რამდენჯერმეა გადაკეთებული. შენობა შედგება ორი ნაწილისაგან: შესასვლელი აღმოსავლეთითაა. დას. ნაწილში, პირველ სართულზე, მარანია, აღმ. ნაწილში - ვესტიბული და კუთხის ოთახები.

მარანში მოხვედრა ამჟამად ვესტიბულიდან შეიძლება. სამხრ. კედელში ხის სარტყლის ნაშთია, კედლებში სხვადასხვა ზომის სწორკუთხა და თაღოვანი ნიშები. რამდენიმე ნიშში სათოფურია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ შენობის ეს ნაწილი თავდაპირველად სამეურნეო და თავდაცვითი დანიშნულებისა იყო. მარანი რვაწახნაგა აგურის სვეტებით ორ ნაწილად იყოფა. სვეტების გასწვრივ, აღმ., სამხრ. და ჩრდ. კედლებზე კუთხეებნაკვეთილი პილასტრებია. მარნის დას. ნაწილი, თავის მხრივ, ორი სვეტითა და მათზე გადაყვანილი თაღებით ორ ნაწილადაა გაყოფილი. დასავლეთის ყრუ კედელს მთელ სიგრძეზე გასდევს საწნახელი, რომელსაც წინ მაღალი საფეხური აქვს. სახლის მთავარი, აღმ. ფასადი სიმეტრიულია, პირველი სართულის ცენტრალური ნაწილი გახსნილია მაღალი და განიერი თაღით, რაშიც ჭიშკარი იყო ჩასმული, ხოლო მეორე ორსვეტიანი ღია ლოჯია. ნაგებობის ყველა კედელი, გარდა მარნისა, შელესილია. [12: 61]

2.5 მირმანოზ ერისთავის ციხე-სასახლე

მირმანოზ ერისთავის ციხე–სასახლე მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტში, მისგან ჩრდილოეთით 20-კმ–ზე მდებარე სოფელ დიდ მეჯვრისხევის ცენტრში.

კომპლექსი შედგება ციხე-გალავნისა და სასახლისაგან. განირჩევა მშენებლობის სამი პერიოდი: XVII-XVIII საუკუნეებში აგებულია ციხე-გალავანი, კარიბჭე და ცილინდრული კოშკები. XVIII-საუკუნის შუა წლებში ციხის კარიბჭეზე, მისი სამხრეთ კედლის ნაწილზე მიუშენებიათ ორსართულიანი სასახლე. XIII-XIX

საუკუნის მიჯნაზე სასახლე გაუფართოებია და გადაუკეთებია მირმანოზ ერისთავს (მანანა ორბელიანის მამას). საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სასახლეში სოფლის საბჭო და კოლმეურნეობის გამგეობა მოთავსდა. ამ დროს გაიტიხრა ოთახები, კოშკის მიმდებარე ოთახის გვერდით ჩააშენეს კიდევ ერთი ოთახი.

ციხე-სასახლე ამჟამად დაზიანებულია: ჩანგრეულია სამხრეთიდან მიშენებული თაღნარის ერთი თაღი, აივნისგან შემორჩენილია რამდენიმე სვეტი. ჩანგრეულია აივნის იატაკი. შენობას აღარ აქვს სახურავი და კარ-ფანჯრების ალათები. სარდაფის სამი ოთახი გამოყენებულია საწყობად.

ციხე-გალავნიდან შემორჩენილია სამხრეთ-აღმოსავლეთი კოშკი, კარიბჭე და მათ შორის მოქცეული გალავნის კედლის ქვედა ნაწილი. გალავნის შემორჩენილი ნაწილი გადაკეთებულია მომდევნო მშენებლობის დროს (გაჭრილია სარკმლები). სათოფურები პირვანდელი სახით შემორჩენილია მხოლოდ ერთ-ერთი კედლის შუა ნაწილში.

კოშკი ცილინდრულია (დიამეტრი 7 მ), ნაგებია რიყის ქვით. შემორჩენილია მხოლოდ ორი სართული. კარიბჭე უკეთ არის შემონახული. იგი სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმისაა. გადახურვა ბრტყელი აქვს. კარიბჭის შესასვლელის გვერდებზე ნახევარწრიული თაღოვანი ნიშებია. ნაგებობა თაღით ორ ნაწილადაა გაყოფილი. ჩრდილოეთ ნაწილის კედლებში შეისრულთაღიანი შესასვლელებია (აღმოსავლეთის შესასვლელი გვიან მიშენებული სახლის პირველი სართულის ოთახში გადის). [30]

ამჟამად მიმდინარეობს კოშკის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2.6 კოტე და შალვა ერისთავების სასახლე

აღნიშნული ძეგლი დგას მეჯვრისხევის საშუალო სკოლის აღმოსავლეთ მხარეს. შენობა აგებულია XVII-XVIII საუკუნეებში.

შენობის დასავლეთის კედელში არის კარი, რომელიც გამოიყენებოდა მარანში ჩასასვლელად. მარანის სიგანე 7 მეტრია, სიგრძე - 20 მეტრი. კედლები აგებულია რიყის ქვისა და აგურის მონაცვლეობით, ასევე გამოყენებულია ქართული აგური.

მარანში ჰქონდათ ორი ძალიან დიდი საწნახელი, რომლებიც გამოჭრილი ყოფილა წაბლის ხისგან.

გადმოცემის მიხედვით, საწნახელებში ყურძნის დასაწურად თორმეტ ძლიერ ვაჟკაცს ჩააყენებდნენ.

კოტე ერისთავის მემკვიდრე, ვახტანგ ელიოზაშვილის ცნობით, მარანში სხვადასხვა ტევადობის ქვევრებია, მათ შორის კი გამოირჩევა ერთი ასკოკიანი ქვევრი.

მარიამმა გასაბჭოების შემდეგ ბევრჯერ განიცადა რესტავრაცია, ამჟამად მას პირვანდელი სახე დაკარგული აქვს და ნგრევის პირას არის. [10: 24-26]

2.7 ანასტასია ერისთავი-ხოშტარიას საცხოვრებელი სახლი

სახლი აგებულია XIX საუკუნეში. იგი არქიტექტურული იერსახით არ გამოირჩევა და ჩვეულებრივ საცხოვრებელ სახლს გავს, მიუხედავად იმისა, რომ სახლი განეკუთვნებოდა მდიდარ ფეოდალს. შენობა არის ერთსართულიანი.

აღნიშნული სახლი 1964 წელს გადაკეთდა გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფილიალად. აქ იყო გამოფენილი ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ექსპონანტები.

შენობაში არსებობდა ასევე მდიდარი ბიბლიოთეკა. სამწუხაროდ, ბიბლიოთეკაც და მუზეუმიც დაარბიეს 1990 წელს. მოგვიანებით, შენობის ნაწილში სოფლის აფთიაქი ფუნქციონირებდა, თუმცა, დღესდღეობით შენობა უფუნქციოდ და სავალალო მდგომარეობაშია. [10: 26-27]

2.8 პატარა მეჯვრისხევის სკოლა

პატარა მეჯვრისხევის სკოლა ქართველ წარჩინებულთა, ადგილობრივი აზნაურების - ჩიკოიძეების საცხოვრებელ სახლს წარმოადგენდა. ჩიკოიძეები საბჭოთა რეპრესიებს შეეწირნენ. საბჭოთა რეპრესიებს გადაურჩა გაიანე ჩიკოიძე, რომელიც დიდი მონდომებითა და სრულიად უსასყიდლოდ განათლებას აძლევდა სოფლის მოსახლე ბავშვებს.

სწორედ მან 1876 წელს ეკატერინე და დავით სარაჯიშვილის შემწეობით ამ ადგილას ორკლასიანი სკოლა დააარსა. მომდევნო წლებში სკოლა ოთხწლედად გადაკეთებულა.

როგორც ირკვევა, ზოგიერთი უმადური გლეხი გაიანეს დაუმსახურებელ შეურაცხყოფას აყენებდა, რის გამოც მას მამაპაპეული ფუძე მიუტოვებია, სოფლიდან წასულა და მალე კიდეც გარდაცვლილა.

1930 წლიდან შენობა მთლიანად დაეთმო სკოლას, რის გამოც მოსწავლეთა რაოდენობა გაიზარდა.

1935 წელს სკოლა გადაკეთდა არასრულ საშუალოდ.

2016 წელს ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, შენობა რეაბილიტაციას აღარ ექვემდებარებოდა, რის შემდეგაც დაიწყეს შენობის ნგრევის პროცესი, თუმცა, მოგვიანებით დემონტაჟის პროცესი შეჩერდა და მას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

როგორც სოფლის მოსახლეობა ამბობს, სახლს აქვს სამდარბაზიანი მარანი, ქართული აგურით ნაგები და თხუთმეტი 800 ლიტრიანი ქვევრი. შენობას ასევე აქვს 1,5 ჰა მიწის ნაკვეთი, სადაც ასწლოვანი ნარგავებია დარგული.

თავი III

სოფელში არსებული წეს-ჩვეულებები, ტრადიციები და დღესასწაულები

სოფელ მეჯვრისხევში არსებობს და გრძელდება ის ტრადიციები, რომლებიც უძველესი დროიდან იღებენ სათავეს და დღემდე ხალხისთვის მნიშვნელოვანი და აუცილებლად შესასრულებელია.

სოფელში არსებობს შემდეგი ჩვეულებები თუ ტრადიციები:

უსანეთობა

მეკვლეობა

ჭონა

ჭიაკოკონობა

ჭიდაობა

3.1 უსანეთობა

სოფელ მეჯვრისხევში ოდითგანვე სახალხო წეს-ჩვეულებები და დღესასწაულები რელიგიურ დღესასწაულებს უკავშირდებოდა და ასეა ეს დღესაც.

სოფლის მნიშვნელოვანი და საყვარელი დღესასწაულია ,,უსანეთობა". ამ დღეს სოფლის მაცხოვრებლები დიდ პატივს მიაგებენ უსანეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიას. დღესასწაული აღინიშნება აღდგომიდან მეშვიდე კვირას. ამ დღეს ხალხი მიდის უსანეთის ეკლესიაში, ანთებს სანთელს, ლოცულობს და შემდეგ სტუმრებთან ერთად აღნიშნავს დღესასწაულს იმ ღვინით, რომელსაც ამ დღისთვის ინახავდნენ.

ძველად თითქმის ყველა ოჯახში არსებობდა საუსანეთო ქვევრი, შემდეგ კი ეს ქვევრები შესწირეს წმინდა გიორგის ეკლესიას და დღეს მის ეზოში 50 ასეთი ქვევრი დგას. ქვევრებს ავსებდნენ ღამისთევით მოსული ადამიანები.

3.2 მეკვლეობა

მეკვლეობის ტრადიცია შორეული წარსულიდან იღებს სათავეს და დაკავშირებულია სტუმართმასპინძლობის რიტუალთან. მეკვლეს ოჯახში სიხარული და სიკეთე შეაქვს. ამიტომ ჩვენს სოფელში მის შერჩევას დიდ ყურადღებას აქცევენ.

მეკვლე ოჯახში ტკბილეულით შედის და ოჯახს ბედნიერ წელს უსურვებს.

სოფელში სწამთ, რომ მეკვლე როგორი გულითაც შემოვა, ოჯახის მომდევნო ერთი წელი ისე წარიმართება. ეს რწმენა რიგ შემთხვევებში იმდენად ღრმაა, რომ ზოგჯერ მეკვლე თავად ოჯახის წევრი ხდება, რათა მათი ოჯახის წარმატება და ბედნიერება რისკის ქვეშ არ დადგეს.

ოჯახში შესვლის დროს მეკვლე წარმოსთქვამს შემდეგ დალოცვით სიტყვებს: ,, შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი. ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა".

3.3 ჭონა

ჭონა დაკავშირებულია ქრისტეს აღდგომის დღესასწაულთან.

სოფელში დიდი შაბათის დღიდან ვიდრე აღდგომა დადგებოდეს თავს იყრის ახალგაზრდა გოგო-ბიჭები და სიმღერ-სიმღერით დადიან კარდაკარ, მღერიან, ამბობენ ლექსებს, ხოლო მასპინძელი საპასუხოდ აძლევს წითელ კვერცხებს. ყველა ცდილობს, მეჭონე ხელცარიელი არ დატოვოს, რადგან ეს მათგან არ არის კარგი საქციელი. შეგროვებულ კვერცხებს მეჭონეები ინაწილებენ და საღამოს დროს ერთად მხიარულებაში ატარებენ.

ჭონის დროს მღერიან ასეთ სიმღერას:

,,ალათასა ბალათასა
ხელი ჩავყავ კალათასა
ბები, ერთი კვერცხი მოგვეც
ღმერთი მოგცემს ბარაქასა".

3.4 ჭიაკოკონობა

სოფელში დღემდე შემორჩენილია ,,ჭიაკოკონობის" ტრადიცია, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თანდათან დავიწყებას ეძლევა. ამ დღეს სოფლის უბნებში ფიჩხით, ჩალითა და მანქანის გაცვეთილი საბურავებით ანთებენ ჭიაკოკონას და ცდილობენ მასზე გადახტომას. ეს დღე განსაკუთრებით საყვარელია ბავშვებისთვის, რომლებიც ეჯიბრებიან ერთმანეთს და ეძლევიან მხიარულებას.

3.5 ჭიდაობა

სოფელში ოდითგანვე დიდი ყურადღება ეთმობოდა სპორტის საკმაოდ პოპულარულ სახეობას - ჭიდაობას.

ჭიდაობა ყოველ კვირადღეს იმართებოდა. განსაკუთრებულ ინტერესს ეს სპორტი უსანეთობის დღესასწაულზე იწვევდა, გამომდინარე იქიდან, რომ ამ დღეს იკრიბებოდნენ სხვადასხვა სოფლის წარმომადგენლები.

მეჯვრისხეველ მოჭიდავეთაგან გამოირჩევიან: ალექსი (ციფნა) შახნაზაროვი, სოგრა ტატიშვილი, ვანო მერებაშვილი, ვახტანგ ნასყიდაშვილი, შოთა გურგენიძე და სხვები. ესენი არიან ძველი თაობის წარმომადგენლები, რომელთა ღირსების დამცველნი აღმოჩნდნენ მათი შემდგომი თაობის წარმომადგენლებიც.

,, ალექსი (ციფნა) შახნაზაროვმა (ათუაშვილმა) ოთხჯერ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა. მის სპორტულ ცხოვრებაში ბევრი საინტერესო ეპიზოდია. მაგ.: 1939 წელს ალექსი შახნაზაროვმა ჩვენი რესპუბლიკის რჩეულებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო ფიზკულტურელთა საკავშირო პარადზე. იქ, წითელ მოედანზე ქართველმა ფალავნებმა, რომელთა შორისაც იყო ციფნა, აჩვენეს თავიანთი ,, ხელოვნება". [10: 286-290]

,,... ვისაც ერთხელ მაინც უნახავს სარბიელზე მოწინააღმდეგეებთან ალექსი, იგივე ციფნა შახნაზაროვის შემართება, მას უთუოდ განუცდია სპორტული სიამოვნება; ლამაზი, დახვეწილი ტექნიკა, ჭიდაობის თავბრუდამხვევი ტემპი, ყოველგვარ მომენტში მისწრაფება გამარჯვებისაკენ - აი, სამი რამ, რაც ახასიათებდა შახნაზაროვს და რითაც იგი მაყურებელს თავს აყვარებდა". [1: 100]

საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში გახლდათ შ. გურგენიძე. იგი იყო არაჩვეულებრივი პედაგოგი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ჭიდაობის ეროვნული სახეობის აღდგენის საქმეში. მან გამოზარდა ქართველ მოჭიდავეთა რამდენიმე თაობა.

ჭიდაობის პროცესს თან ახლდა დაკვრა, რაც მეტად უბიძგებდათ მეჯვრისხეველ მოჭიდავეების გამარჯვებისკენ. მათ დოლზე დაკვრით ამხნევებდა მედოლე სერგო შერმადინი, ხოლო ზურნის ხმით მეზურნეები გივი ადიბეგოვი და მიხეილ ძურძუკი.

საჭიდაო მოედენი დღესაც არ კარგავს თავის ფუნქცია.

თავი IV - სოფლის ტოპონიმები

ტოპონიმი ლექსიკურად არის ენის ერთეული, ხოლო გრამატიკულად - საკუთარი არსებითი სახელი. ტოპონიმი ენის წარმოშობისთანავე ჩნდება და მას თან ახლავს მისი არსებობის მანძილზე. არ არსებობს ენა, რომლის ლექსიკასაც არ ამდიდრებდეს იგი. კერძოდ, ქართული ენის სიტყვობრივ მარაგში ტოპონიმებს თავიდანვე დიდი ადგილი უკავია. [20: 9]

,,ტოპონიმებს ადამიანთა ჩვეულებრივ ურთიერთობასა და მეტყველებაში საკმაოდ დიდი ადგილი უკავია. უტოპონიმოდ ადამიანს არსებობა არ შეუძლია: ქუჩა, სოფელი, რაიონი, ქალაქი, მთა, ტყე, ბაღი, მდინარე, წყარო, ნაკვეთი, ვენახი, გზა და

მათი სახელწოდებანი იმდენად ახლობელია ქალაქისა და სოფლის მცხოვრებთათვის და ისეა დამოკიდებული მათ ყოფაში, რომ ყოველდღიურ სიტყვა-პასუხში აქტიურად მონაწილეობს.

ტოპონიმები რაოდენობით ორ-სამჯერ მეტია, ვიდრე მთლიანად ენის ლექსიკა დიალექტური შენაკადებით. მართალია, ტოპონიმთა რაოდენობას, უპირველეს ყოვლისა ზრდის მიკროფონდი, რომლის არეალი მეტად ვიწროა, მაგრამ ადამიანი სწორედ ამ მიკრორაიონის ბინადარია და მის ტრადიციას ექვემდებარება. სიტყვარის საერთო ფონდთან ერთად მან თავისი კუთხის ლექსიკური ტრადიცია იცის, ინახავს და შთამომავლობას გადასცემს ამ არეალურ ლექსიკას". [20: 4]

ქართული ტოპონიმიის შეგროვებასა და შესწავლას მრავალი წლის ტრადიცია აქვს. პირველი ცნობები კი ტოპონიმიის შესახებ შემორჩენილია ძველ საისტორიო წყაროებში, რომლებიც V-XI და XII-XVIII სს. განეკუთვნებიან.

ადგილობრივ ტოპონიმთა უძველესი ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილის შესახებ გვამცნობს ,,ქართლის ცხოვრება", რომელიც XI-XII სს.-ებში შეიქმნა და უწყვეტად ივსებოდა XVIII ს.მდე.

საქართველოს ტოპონიმთა თანმიმიდევრულ მეცნიერულ შესწავლას წარმოების პრინციპების მიხედვით, სათავე დაუდო ივანე ჯავახიშვილმა. მან ჩამოაყალიბა შემდეგი მეთოდოლოგიური ღირებულების მქონე დებულება: ,, გეოგრაფიული სახელების ეტიმოლოგიების წამოყენებისა და პირველადი მნიშვნელობის გამორკვევის დროს მკვლევარმა უპირველესად ამა თუ იმ ადგილის მდებარეობა უნდა გაითვალისწინოს და ჩაუკვირდეს სხვა იქაურ მსგავსივე გეოგრაფიული სახელების აგებულებას და დანიშნულებას". [25: 61]

რატომ დაერქვა ამა თუ იმ საგანს ესა თუ ის სახელი? ამ მხრივ, ჩვენი დაინტერესების უპირველეს საგანს წარმოადგენს სოფელ მეჯვრისხევის ტოპონიმები.

სოფელში ყველაზე მეტად გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ტოპონიმი ,,მეჯვრისხევი" მომდინარეობს მდინარე მეჯუდისგან.

სხვადასხვა წერილობით წყაროში მდინარე მეჯუდას სახელი სხვადასხვა ვერსიით გვხვდება: მეჯუდა/მეჯვდა.

მეჯვრისხევი <--მეჯუდის (მეჯვდის) ხევი. ,, მეჯვრისხევი სოფელია გორს ზემოთ, მდ. მეჯუდაზე, ძველად მას მეჯუდის ხევი უნდა ჰრქმეოდა (ა. შანიძე, 1953, 141), შდრ. ერთი მხრივ, ,,მეჯუდა (მეჯვდა) დაბა", ქ. ცხ. IV, და, მეორე მხრივ, ,, გიორგი მეფემ შესწირა სვეტიცხოველს ზერტები საზღვრებში: აღმოსავლეთით სობურის სამანამდე, ჩრდილოეთით კირბლის საზღვრამდე, დასავლეთით მეჯუდის ხევის საზღვრამდე. [15: 14]

ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, მძიმე განსაცდელის ჟამს ქართველთა ჯარს მეჯვრისხეველი სასულიერო პირი ჩაუდგა სათავეში, რომელსაც დაუმარცხებია მტერი და მეფისთვის უთქვამს: ,,მე ჯვრით ხელში დავამარცხე ურიცხვი მტერიო". შესაძლებელია, სიტყვებისგან ,,მე ჯვრით ხელში" წარმოიშვა ტოპონიმი ,,მეჯვრისხევი".

ერთ-ერთი ვერსია გვამცნობს, რომ ადრე ამ ტერიტორიაზე უცხოვრია ერთ ძალიან სახელმოხვეჭილ ოსტატს. იგი ჯვრებს ამზადებდა და საფლავის ქვებზეც ტვიფრავდაო. ოსტატი იმდენად სახელგანთქმული ყოფილა, რომ მას სხვა კუთხეებიდანაც აძლევდნენ შეკვეთებს და სწორედ აქედან, მეჯვრის (ჯვრის მკეთებლის) საცხოვრებელი ადგილი უნდა იყოს მეჯვრისხევი.

ინტერესს იწვევს ის ფაქტიც, რომ რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიულ-სტატისტიკურ ლექსიკონში წერია: ,, მეჯუდა… დიდი ლიახვის მარცხენა შენაკადი. სათავეს იღებს სამბიატის მთებში… სოფელ მედჯლისხევთან გადის ქართლის ვაკეზე და ქალაქ გორთან ჩაედინება ლიახვში". [11: 203]

სოფელში გვხვდება არაერთი ტოპონიმი, რომელიც ლექსიკურად ენის ერთეულია, ხოლო გრამატიკულად - საკუთარი არსებითი სახელი. მეჯვრისხევი საკმაოდ დიდი სოფელია. იგი იყოფა ორ ძირითად ნაწილად: პატარა მეჯვრისხევი და დიდი მეჯვრისხევი (ხიდს იქითა და ხიდს აქეთა/გაღმა-გამოღმა მხარე).

სოფლის ეს ორი ნაწილი იყოფა შემდეგ უბნებად:

ფურნის უბანი - ამ ტერიტორიაზე იყო ფურნე და პური ცხვებოდა.

საავადმყოფოს უბანი - ამ უბანში იყო საავადმყოფო.

უსანეთის უბანი - აქ მდებარეობს უსანეთის ეკლესია.

მექვაბიანთ უბანი - აქ ცხოვრობენ მექვაბიშვილის გვარის წარმომადგენლები.

ლოლაანთ უბანი - აქ ცხოვრობენ ლოლაშვილების გვარის წარმომადგენლები.

გოგიაშვილების უბანი - აქ ცხოვრობენ გოგიაშვილების გვარის წარმომადგენლები.

მეჯუდისპირი - უბანი, მდინარე მეჯუდის ნაპირას.

პატარა მეჯვრისხევის უბანი - უბანი, ცხრაკლასიან სკოლასთან.

ძაღლის უბანი - დაერქვა ძაღლების სიმრავლის გამო.

შრომის უბანი - ამ უბანში გადმოსახლდა ადამიანი, რომელმაც უბანში მცხოვრები ადამიანები დაასაქმა.

ქეცხურა - უცნობი სემანტიკის.

ჩარხისუბანი - უცნობი სემატიკის.

სოფელ მეჯვრისხევის ტოპონიმებში გვხვდება: მარტივი, წარმოქმნილი და სიტყვათშეერთებით ნაწარმოები სახელები.

4.1 მარტივფუძიანი ტოპონიმები

ტოპონიმთა უმეტესი ნაწილი მიღებულია ძირეული საზოგადო სახელის რომელიმე, ჩვეულებრივი სახელობითი ბრუნვის ფორმით.

მეჯვრისხევში გვხვდება შემდეგი მარტივფუძიანი ტოპონიმები:

გრძელა - მიწის ნაკვეთის სახელი, რომელიც ფორმით არის გრძელი.

მინდორი - სოფლის ბოლოში მდებარე მიწები, სადაც ბოსტნეული მოჰყავთ.

რიყე - მდინარე მეჯუდის ქვიან სანაპიროებს ჰქვია.

უსანეთი - ეკლესიის სახელი.

4.2 წარმოქმნილი ტოპონიმები

აღსანიშნავია ტოპონიმთა პრეფიქს-სუფიქსური წარმოება. პრეფიქსებად, ჩვეულებრივ, წინა ვითარების ამსახველი ნა- და სა- ელემენტები გვაქვს, ბოლოსართებად კი -ე, -ო, -ურ//-ულ, -არ//-ალ და რთული -ე - ებ, -ევ - ებ, -ო - ებ, -არ - ებ, -ურ - ებ//-ულ - ებ და ა. შ. მაშასადამე, წინა ვითარების ამსახველ ტოპონიმებში აფიქსებად გვხვდება: ნა- -- -არ (// ნა- -- -ალ), ნა- -- -ევ, ნა- -- -ებ, ნა- -- -იან, ნა- -- -ან,

სა- -- -ა, სა- -- -ო, სა- -- -იან, ნა- -- -ან, სა- -- -ა, სა- -- -ო, სა- -- -იან და ა. შ., რომლებსაც ხშირად დამატებით დაერთვის მრავლობითობის -ებ და კნინობითობის -ა სუფიქსი.

გეოგრაფიული სახელების ოდენპრეფიქსული წარმოების სპეციფიკური ნიშანი ისაა, რომ ნა- და სა- პრეფიქსები, როგორც წესი, მხოლოდ ვნებითი გვარის მიმღეობურ, იშვიათად - დანიშნულებისა და წინა ვითარების აღმნიშვნელ გეოგრაფიულ სახელებს წარმოქმნიან.

ნა- და სა- პრეფიქსებით გაფორმებული ტოპონიმები, ჩვეულებრივ, მიკროტოპონიმიის სფეროში გვხვდებიან;

ნა- და სა- პრეფიქსიანია ტოპონიმები ძირითადად სამეურნეო ხასიათის სახელები არიან. მათში საკმაოდ ზუსტადაა ასახული საყოფაცხოვრებო-სამეურნეო რეალიები, მოსახლეთა საქმიანობა და სხვ. [4: 29-31]

სოფელ მეჯვრისხევში დასტურდება შემდეგი წარმოქმნილი ტოპონიმები:

ბასეინები - ტერიტორია, სადაც აუზი მდებარეობდა.

დუბეები - მიწის ნაკვეთები, რომელთაც დუბე წყალი ჩამოუდის.

ეჯოიანთეული - მიწები ეკუთვნოდათ ეჯოშვილებს.

ვენახები - ამ ადგილას ვენახებია გაშენებული.

თუთიანი - მიწის ნაკვეთები, სადაც თუთის ხეები იყო გაშენებული.

თურქლეული - მიწის ნაკვეთები, რომლებიც ადრე თურქების კუთვნილებაში შედიოდა.

იფნები - სოფლის მთის ფერდობზე გაშენებული იფნის ტყე.

კოკაურები - ვფიქრობთ, რომ მომდინარეობს გვარიდან ,,კოკაური“.

ნაატმარი - მიწის ნაკვეთები, სადაც ატმის ხეებია იყო გაშენებული.

რიყეები - მდინარე მეჯუდის ქვიან სანაპიროებს ჰქვია.

ტყემლიანი - მიწის ნაკვეთები, სადაც ტყემლის ხეები იყო გაშენებული.

ურწყავი - მიწა, რომელსაც წყალი ძნელად უდგება და ამის გამო, იგი იშვიათად ირწყვება.

ფშნები - ადგილი, სადაც რამდენიმე ფშანი ამოდის.

ხომასურიძიანთეული - მიწები ეკუთვნოდათ ხომასურიძეებს

4.3 სიტყვათშეერთებით ნაწარმოები ტოპონიმები

გეოგრაფიულ სახელებში მდიდარი ინფორმაციაა დაცული. აქ აღნიშნულია არა მარტო ობიექტის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, არამედ მისი კუთვნილება-წარმომავლობაც.

ქართულ გეოგრაფიულ სახელთა ძირითადი ფონდი - ესაა ბინომური, მსაზღვრელ-საზღვრულიანი წყვილები (სინტაგმები), რომლის პირველ კომპონენტს წარმოადგენს სახელი, ხოლო მეორე კომპონენტს - ნომენკლატურული ტერმინი: მთა, ქედი, გორაკი, სოფელი, უბანი, ჯვარი, ტბა, წყალი, ღელე, წინა, უკანა, შუა და სხვ. [4: 34-35]

სოფელში დასტურდება შემდეგი სიტყვათშეერთებით ნაწარმოები ტოპონიმები:

ეჯოიანთეული ვენახები - ვენახები ეკუთვნოდათ ეჯოშვილებს.

ვერხვიმიწა - ამ ტოპონიმით ცნობილია ადგილი, სადაც დიდი ვერხვის ხე დგას.

იჩქითი გოხი - ეს მიწები ეკუთვნოდათ იჩქითებს.

კაკლიმიწა - ამ ადგილას კაკლის ხეებია გაშენებული.

ლამის მიწები - მდინარე მეჯუდასთან ახლოს მდებარე მიწები.

როსტომბაღი - ბაღები, რომლებიც ეკუთვნოდა ბატონს, სახელად როსტომს.

ტყემლიმიწა - მიწა, სადაც ტყემალი იყო გაშენებული.

ურწყავის ვენახები - ვენახები, რომელთაც წყალი ძნელად უდგებოდა და ამის გამო, ისინი იშვიათად ირწყვებოდა.

ცერა არხის ნაკვეთები - ნაკვეთები, რომლებიც ცერა არხით არწყვებოდა.

წიოს ქოხი - ქოხი იდგა მინდვრებში, ეკუთვნოდა წიოს და იყენებდნენ ცუდის ამინდის დროს თავშესაფარად.

თავი V - სოფლის ჰიდრონიმები

მდინარე-ხევების, აგრეთვე ტბების, წყალსაცავების, პატარა ნაკადულების და ა. შ. სახელები, ანუ როგორც მათ უწოდებენ, ჰიდრონიმები, გეოგრაფიულ სახელთა განსაკუთრებულ ჯგუფს ქმნიან. ეს განსაკუთრებულობა, პირველ რიგში, იმით გამოიხატება, რომ ჰიდრონიმები, უპირატესად კი დიდი მდინარეების სახელები, ტოპონიმიის უძველეს ფენას განეკუთვნება.

ჰიდრონიმია, როგორც გეოგრაფიული ნომენკლატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბანი, დიდი ხანია სპეციალისტ-მკვლევართა ყურადღებას იქცევს. ჰიდრონიმთა მორფოლოგიური ანალიზი მკვლევარებს ბევრ საინტერესო

მასალას აწვდის, რაკი ჰიდრონიმებში, როგორც უძველეს ენობრივ ერთეულებში, ასახულია ძველი ხალხების კულტურულ-ისტორიული და საზოგადოებრივი რეალიები. [4: 56-57]

სოფელში გვაქვს როგორც მარტივფუძიანი ანუ ძირეული, ისე რთულფუძიანი ანუ სიტყვათშეერთების გზით მიღებული ჰიდრონიმები.

5.1 ძირეული ჰიდრონიმები:

მდინარე მეჯუდა არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

რამდენიმე ათეული წლის წინ მდინარე ეკოლოგიურად იმდენად სუფთა იყო, რომ კარგ ამინდში მოსახლეობას მისი სასმელად გამოყენება შეეძლო, მაგრამ ნიაღვრების დროს მდინარეში წყალი ისე იმღვრევა, რომ მისი დალევა შეუძლებელია. მდინარეში ხვდება სასოფლო - სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული გერბიციდები თუ სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებები.

მდინარე განსაკუთრებით საყურადღებოა იმით, რომ იგი მდიდარი იყო კალმახით. როგორც მოხუცი თაობის წარმომადგენლები იხსენებენ, იმდენი კალმახი იყო მეჯუდაში, რომ ცარიელი ხელითაც კი მრავლად იჭერდნენ.

5.2 რთულფუძიანი ჰიდრონიმები

ვანათის წყალი - სოფელ ვანათიდან მოწოდებული სასმელი წყალი, რომლითაც სოფელი 1940-იან წლებში მარაგდებოდა.

ქეცხურის წყალი - ქეცხურის ხეობიდან გამოყვანილი სასმელი წყალი.

მერიის წყალი - 1984 წელს მერიიდან გამოყვანილი სასმელი წყალი.

ფშანის წყალი - მდინარე მეჯუდის სანაპიროზე ამოდის მიწიდან.

ლოლაანთ წყარო - ლოლაშვილების უბანში გამოედინება მთიდან, არის ძალიან სუფთა და ცივი წყალი, წყლის ასავსებად საჭიროა მუჯუდაში გავლა.

ლოლაანთ ჩანჩქერი - მდებარეობდა ლოლაანთ წყაროს ცოტა ქვემოთ, ლოლაანთ უბანში. ჩანჩქერი იყო ძალიან ლამაზი. სოფლის ახალგაზრდა და არა მხოლოდ ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები ზაფხულში აქ იკრიბებოდნენ და გრილდებოდნენ. სამწუხაროდ, რამდენიმე წლის წინ ჩანჩქერი ჩამოიშალა.

ქეცხურის ჩანჩქერი - მდებარეობს ქეცხურის უბანში, არის ძალიან ლამაზი და სოფლის მაცხოვრებლები ზაფხულობით ხშირად სტუმრობენ.

ტირიფონის არხი - არხის მშენებლობა დასრულდა 1934 წელს და არხის გახსნისადმი საზეიმო ცერემონიალები ჩატარდა ცხინვალსა და მეჯვრისხევში.

რეგიონის სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ტირიფონის სარწყავი არხის მშენებლობას, რომელმაც შესაძლებელი გახადა დამატებით ათეული ათასი ჰექტარი მიწის გამოყენება.

ტირიფონის არხისა და მეჯუდის წყლის საშუალებით მეჯვრისხევის მოსახლეობას საშუალება ეძლევა თავიდან აიცილოს გვალვისა და ნიადაგის გამომშრობი ქარების უარყოფითი ზეგავლენა და შრომის სწორი ორგანიზაციის პირობებში მაქსიმალურად გამოიყენოს მაღალი საწარმოო თვისებების მქონე ნიადაგი.

თავი VI - გვარ-სახელები

გვარი და სახელი ადამიანის მყოფობის უპირველესი ნიშანია. უგვარო და უსახელო ადამიანი პრაქტიკულად არ არსებობს. სახელი და გვარი - ორივე ერთად არის პიროვნების დამადასტურებელი ფორმულა და მისამართი დენოტატისა, რაც მხატვრულად ასე აქვს გამოხატული რევაზ ჯაფარიძეს: ,,კაცის გვარი არ ვიცი და სახელი, წადი და ეძებე თევზი წყალში". (,, გრძელი გზა")

ონომასტიკური პოზიციით, ეს ორი სიტყვა - გვარი და სახელი - ორი სხვადასხვა ცნების გამომხატველია, სახელდების ორი საშუალებაა. ისინი ონომასტიკური ფუნქციით ისე განსხვავდებიან ერთმანეთისგან, როგორც ორივე - ,,მამის სახელისგან". სახელსა და გვარს, მართალია, ერთი საერთო ფუნქცია აქვთ (სახელდება), მაგრამ აქაც სხვაობენ თავიანთი კერძო დანიშნულებით. ისინი სხვადასხვა ასპექტით წარმოგვიდგენენ ადამიანს. ეს ორი ლექსიკური ერთეული არა მხოლოდ ფონემატურად ემიჯნება ერთმანეთს, არამედ თვისებრივადაც.

გრამატიკული თვალსაზრისით, ორივე, სახელიც და გვარიც, როგორც მეტყველების ნაწილები, მიეკუთვნება სახელებს, ისე როგორც სხვა აპელატივები (მაგიდა, წიგნი), ესე იგი, ტერმინი გვარი - გრამატიკულად არის სახელი, კერძოდ, არსებითი სახელი, და არა ონომასტიკურად.

გვარი ლექსიკურად პოლისემური მნიშვნელობის სიტყვაა. ,, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში" ჩამოთვლილია გვარის რამდენიმე მნიშვნელობა, ესენია: 1. გვარი - საოჯახო სახელწოდება, რომელიც ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს და გადაეცემა შვილს მამისგან: ა) გვარი, ანუ ჩამომავლობა; ბ) გვარი - ადამიანთა ჯგუფი; 2. გვარი - ჯიში, მოდგმა; 3. გვარი - ბიოლოგიური ტერმინი, აერთიანებს წარმოშობით ახლომდგომ ორგანიზმთა სახეობებს; 4. გვარი - გრამატიკული ტერმინი, ზმნის მორფოლოგიური კატეგორია.

მაშასადამე, ამ განმარტებების მიხედვით, გვარი ეს არის, ერთ ტერიტორიაზე მცხოვრებ, საერთო შრომაში ჩაბმულ და ნათესაურად დაკავშირებულ ადამიანთა უძველესი სოციალური ჯგუფის, ადრინდელი თემური გვაროვნული ცხოვრების აღმნიშვნელი. გვარი მემკვიდრეობითი საოჯახო სახელწოდებაა, საზოგადოების პირვანდელი უჯრედია, რომელიც ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს. ერთი წინაპრის შთამომავლები ერთი და იმავე გვარის მატარებელი ჯგუფია. უთუოდ ამით უნდა აიხსნას, რომ მას მოდგმის, შთამომავლობის, შტოს და ჯიშის ცნებებიც უკავშირდება ისე, როგორც მისგან წარმოქმნილ სიტყვებსაც:

- საგვარეულოს, საგვაროს (მოდგმა, ჩამომავლობა)
- გვაროვნულობას (ჩამომავალი)
- გვაროვანს (დიდგვარი)

- გვარეობას, გვარობას (ვინაობა)
- გვარიშვილს (დიდგვარი)

ძველ ქართულში გვარი კატეგორიის შესატყვისადაც გვევლინება, მაგალითისათვის ავიღოთ შოთა რუსთაველის გამოთქმა: ,,ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა. [2: 12]

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში გვარის შვიდი მნიშვნელობაა გამოყოფილი. მაგ.: 1. საოჯახო სახელწოდება, რომელიც ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს და გადაეცემა შვილს მამისაგან (ან დედისაგან) ან ცოლს ქმრისაგან... 2. პირველყოფილ თემურ წყობილებაში - კავშირი დიდი ოჯახებისა, რომლებიც ერთსა და იმავე მეურნეობას ეწევიან და ერთმანეთთან ნათესაურ კავშირში იმყოფებიან... . [16: 1433]

გვარ-სახელებთან დაკავშირებით არსებობს მკვლევარების სხვადასხვა შეხედულებები:

აკად. ნ. ბერძენიშვილი მიუთითებს, რომ გორი იგივე გვარია. ეს არის უძველესი სოციალური ტერმინი, რომელიც დასახლების გარკვეულ ტიპს აღნიშნავდა. მკვლევარი წერს: ,,გორა სოციალური ერთობა უნდა იყოს". [2: 13-14]

მკვლევარი ილია ჭყონია მეგრული სიტყვის ,,ნიგორის" განხილვისას შენიშნავს, რომ: ,, განსაკუთრებით საყურადღებო ჩანს, ,,ნიგორის" მეგრულში არა მხოლოდ იმის გამო, რომ მასში ჯიშიც იგულისხმება, არამედ იმითაც, რომ ამ ტერმინში ფუძე ,,გორ" - ი ჩანს და იგი ქართულ გვარს უნდა შეესიტყვებოდეს". [23: 83-84]

ერთ დროს გვარი არ არსებობდა და ადამიანებს ერთმანეთისგან სახელის მიხედვით განარჩევდნენ. ამის თაობაზე ზურაბ ჭუმბურიძე წერს:

,,ვიდრე ადამიანები მცირერიცხოვან ტომებად იყვნენ დაფანტული და ტომებს შორის მჭიდრო კავშირი არ არსებობდა, მანამ შეიძლებოდა ტომის ყველა წევრს სხვადასხვა სახელი რქმეოდა და მარტო სახელითაც მიხვდებოდნენ, ვის ეხებოდა საუბარი. მაგრამ კაცობრიობა დიდი ხანია გასცდა ტომობრივი კარჩაკეტილობის ხანას. შრომის განაწილება, მოსახლეობის ზრდა, ტომებს შორის ურთიერთობის გაცხოველება და ხალხის უფრო მრავალრიცხოვან კოლექტივად ჩამოყალიბება აუცილებელს ხდიდა არა მარტო იმის ცოდნა, თუ რა ჰქვია ამა და ამ პირს, არამედ რა

ხელობის კაცია იგი, ვისი შთამომავალია, სადაურია და ა.შ. ამრიგად სახელის გვერდით გაჩნდა კიდევ მეორე, დამატებითი სახელი, რომელიც აზუსტებდა პიროვნების ვინაობას, მეტ ცნობებს იძლეოდა მასზე და თანაც აადვილებდა ერთი სახელის მქონე პირების, სეხნიების გარჩევას. აი, ამ დამატებითი სახელისაგან დროთა განმავლობაში წარმოიშვა გვარი, როგორც პიროვნული სახელის თანმხლები, განუყრელი ნაწილი". [22: 293-294]

ზ. ჭუმბურიძის დასკვნით, ,, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" ერთ ეპიზოდში მოხსენიებული გაბრიელ დაფანჩულის მეორე სახელი ,,დაფანჩული" საუკუნე-ნახევრის შემდეგ ჩანს, როგორც მემკვიდრეობითი სახელი: ,,ერქვა მას სახელი გაბრიელ დაფანჩული, და აწ ნათესავთა მისთან ჰრქჳან დაფანჩულნი". აქ ,,ნათესავთა მისთა" ნიშნავს მის მოდგმა-შთამომავლობას. ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს: სწორია მეცნიერი, როცა დაფანჩულში გვარსახელი დაინახა. გიორგი მერჩულე პირდაპირ გვეუბნება: ახლაც (ე. ი. ერთი საუკუნის შემდეგ) გაბრიელ დაფანჩულის ნათესავნი (ე. ი. ამ შემთხვევაში, შთამომავალნი) დაფანჩულის გვარს ატარებენო". [8: 276]

ალ. ღლონტის აზრით, ,,გვაროვნული სახელი, მკვიდრი ნაწილი ქართული ანთროპონიმიისა ქართველ ტომებში ადრინდელი ფეოდალიზმის ეპოქაში ჩასახულა და VII-VIII სს მისი ჩამოყალიბების პროცესი თითქმის დასრულებული ჩანს". არსებულ სამეცნიერო ლიტერატურასა და საისტორიო საბუთების ჩვენებაზე დაყრდნობით რ. თოფჩიშვილი ასკვნის: ,, საქართველოში გვარსახელს დიდი ხნის, საუკუნეების ისტორია აქვს. ქართული გვარსახელების არსებობა დოკუმენტურად დასტურდება VIII-IX სს-დან, თუმცა, რა თქმა უნდა, ის ამ დროს არ წარმოქმნილა. გვარსახელი ჩვენში უფრო ადრეა წარმოშობილი". მკვლევარი მიიჩნევს, რომ ,,სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში" დასახელებული ანთროპონიმი ბაჰლაუნდი, რომელიც შემოსულია სპარსულიდან, არის გვარსახელი, მაგრამ უფრო ადრინდელ პერიოდში ქართველურ ტომებში გვარსახელის არსებობის დამამტკიცებელი დოკუმენტური მასალა არ მოგვეპოვება. გ. ხორნაულის მტკიცებით, ,, გვარი XI საუკუნიდან იკიდებს ფეხს საქართველოში და მას პირველ რიგში საზოგადოების ზედა ფენა, თავადაზნაურობა იღებდა". [21: 133-134]

ქართული გვარსახელები შეიძლება დავაჯგუფოთ ძირების (ფუძეების) და გვარის სუფიქსების ანუ ფინალების მიხედვით. გვხვდება უსუფიქსო გვარებიც, რომელთა რიცხვიც ცოტაა. სუფიქსიან გვართა რიცხვი ენაში ბევრია. ქართულში გვაქვს შემდეგი ფორმანტიანი გვარები: -ძე, -შვილი, -სკირი, -იან (-ან), -ია, -უა, -ურ (-ულ), -ში, -არ, -უა, -ჭკორი… როგორც წესი, ამ აფიქსების საშუალებით ძირითადად გამოხატულია: კრებითობა, სადაურობა და კუთვნილება. ამავე დროს, გვარების ეს მრავალრიცხოვანი აფიქსები იმის დამადასტურებელიც არის, რომ ისინი საკმაოდ დიდი ხნის წინ, საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურზეა წარმოქმნილი. [8: 278-279]

,,მრავალრიცხოვანი ქართული სუფიქსები, რომლებსაც ქართული გვარსახელები ირთავენ და ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში წარმოიქმნა. უძველესი ქართული სუფიქსებია -იან (ან), -ურ და -ეთ, რომლებიც ქართულ გვარებს კლასობრიობამდელი პერიოდის გვარებიდან გადმოჰყავთ და როგორც ს. ჯანაშია შენიშნავდა, ისინი ფეოდალურმა ინდივიდუალიზმმა ამოაგდო, როდესაც კერძო საკუთრება საბოლოოდ დამკვიდრდა. ფეოდალიზმის განვითარებასთან ერთად კი წარმოიქმნა გვარსახელის ახალი ფინალები (-ძე, - შვილი, - ელ), რაც აშკარა შედეგი იყო მამაკაცის, მამის უპირატესი უფლებისა სამამულე ურთიერთობებში". [8: 281]

ქართული გვარების წარმოშობის თითქმის ყველა ნიუანსი შესანიშნავადაა ასახული მეჯვრისხეველთა გვარებში. ჩვენ გავეცნობით იმ გვარებს, რომლებიც დაფიქსირებულია მეჯვრისხევში XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჩატარებული კამერალური აღწერის მიხედვით და იმ გვარებს, რომლებიც სოფელში დღეს ცხოვრობენ.

ქვემოთ მოყვანილია მეჯვრისხევში მცხოვრებთა ის გვარები, რომლებიც პროფესორ ს. კაკაბაძეს ამოუკრებია საქართველოს საისტორიო არქივიდან, იგი მოიცავს XIX საუკუნის პირველ ნახევარში სოფელში მცხოვრებთა სიას, მასალები ინახება გორის სახელმწიფო ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

სიის მიხედვით მეჯვრისხევში მამულებს ფლობდნენ თავადები: ერისთავი, ბარათაშვილი, ციციშვილი, ორბელიანი, ამილახვარი, გამრეკელი.

რამდენიმე გლეხი ბაგრატიონთა სახლის ჩამომავლობას - მეფის ასულს ანასტასია ერისთავისას და ნიკოლოზ ბაგრატიონს ეკუთვნოდა.

აზნაურთაგან ფიგურირებენ: ციმაკურიძე, ხაშუშისძე, ჟურული, ლოლაძე, ჯაფარიძე, ჩიკოიძე, კასრაძე, თულაშვილი, ჩუბინიშვილი, ყანჩაველი.

რაც შეეხება ძირითადად მასას - გლეხობას, ის დაყოფილია სამ ჯგუფად: დიდი და პატარა მეჯვრისხევი და ღრომი. ღრომში მოსახლე ადამიანები დღეს ძირითადად მეჯვრისხევში ცხოვრობენ.

დღეს მეჯვრისხევში დასტურდება შემდეგი გვარები:

1. ათუაშვილი
2. არჩვაძე
3. ალხაზიშვილი
4. ახალკაცი
5. არეშიძე
6. აწკარუნაშვილი
7. არსენაძე
8. ადიბეგოვი
9. აბელიშვილი
10. აღდგომელაშვილი
11. აბალაკი
12. ასკილაშვილი
13. აივაზოვი
14. აივაზიშვილი
15. ბიბილაშვილი
16. ბუჯიაშვილი
17. ბაკურაძე
18. ბასილაშვილი
19. ბლუაშვილი
20. ბუნტური
21. ბენაშვილი

22. ბეგიაშვილი
23. ბასიშვილი
24. გოგატიშვილი
25. გელიაშვილი
26. გურგენიძე
27. გოგიაშვილი
28. გერკეული
29. გინტური
30. გუზიტაშვილი
31. გენგიური
32. გეორქოვი
33. გოგინაშვილი
34. გულუაშვილი
35. გიგაური
36. გოჭიშვილი
37. გიგოლაშვილი
38. გალაშვილი
39. გიკაშვილი
40. გიაშვილი
41. გოგიჩაშვილი
42. დათუნაშვილი
43. დუდაშვილი
44. დუდაევი
45. დვალიშვილი
46. დარჩიაშვილი
47. დალაქიშვილი
48. დავითაშვილი
49. დათვიაშვილი
50. დურსაღოვი

51. ელიაური
52. ეჯოშვილი
53. ელიოზაშვილი
54. ელყანიშვილი
55. ვაზაგაშვილი
56. ვახტანგაშვილი
57. ვეშაპური
58. ვალიშვილი
59. ვართემაშვილი
60. ზუმბულიძე
61. ზერეკიძე
62. ზანგურაშვილი
63. ზარაფოვი
64. თაყაძე
65. თვაური
66. იჩქითი
67. ილურიძე
68. ინაური
69. იარდალაშვილი
70. იშხანიშვილი
71. კარელიძე
72. კაპანაძე
73. კვირიკაშვილი
74. კორინთელი
75. კეკელაშვილი
76. კუძიევი
77. კუსრაევი
78. კუსრაშვილი
79. კოჭლაშვილი

80. კოდოშვილი
81. კეპაშვილი
82. კარიჭაშვილი
83. ლიჩელი
84. ლეზანიძე
85. ლეჟავა
86. ლოლაძე
87. ლოთიშვილი
88. მარღიშვილი
89. მაჭარაშვილი
90. მარკოზაშვილი
91. მელაძე
92. მეზვრიშვილი
93. მარიამიძე
94. მარტაშვილი
95. მირზაშვილი
96. მოსიძე
97. მუნჯიშვილი
98. მღებრიშვილი
99. მჭედლიშვილი
100. მახათაძე
101. მესტუმრიშვილი
102. მასურაშვილი
103. მჭედლიძე
104. მელითაური
105. მესხი
106. მაისურაძე
107. მამულაშვილი
108. მიქელაძე

109. მარგიევი
110. მარღიშვილი
111. მერებაშვილი
112. მაზანაშვილი
113. ნიკურაძე
114. ნამიკაშვილი
115. ნადიბაძე
116. ნარიკაშვილი
117. პავლიაშვილი
118. პაპიტაშვილი
119. პეტრიაშვილი
120. პანტიკიანცი
121. ჟუნენკო
122. რაზმაძე
123. რთველიაშვილი
124. საძაგლოვი
125. სოლოღაშვილი
126. სუხიშვილი
127. სარაული
128. სალუქაშვილი
129. სეხნიაშვილი
130. სარიბეგოვი
131. სახუგაშვილი
132. სოყურაშვილი
133. სლანოვი
134. სესაძე
135. საბაშვილი
136. ტვინიკაძე
137. ტერაშვილი

138. ტოტიკაშვილი
139. ტატიაშვილი
140. ტალახაძე
141. უზნაძე
142. ურიგაშვილი
143. უმეკაშვილი
144. ფსიტიძე
145. ფსიტური
146. ფიდიური
147. ქანანოვი
148. ქერდიყოშვილი
149. ქოჩორაძე
150. ქურციკიძე
151. ქუჯოშვილი
152. ქოსურაშვილი
153. ქოსუროვი
154. ქარელიძე
155. ქასოშვილი
156. ღაძაძე
157. ყუჯიაშვილი
158. ყველაშვილი
159. ყაზიშვილი
160. შახნაზაროვი
161. შერმადინი
162. ჩიტიშვილი
163. ჩუბინაშვილი
164. ცარციძე
165. ციცაგი
166. ცაციაშვილი

167. ცეცხლაძე
168. ცხადიაშვილი
169. ძურძუკი
170. ჭაღინაშვილი
171. ხარხელი
172. ხომასურიძე
173. ხახუტაშვილი
174. ხომიზური
175. ხურიშვილი
176. ხუციშვილი
177. ხეჩუაშვილი
178. ხეკაშვილი
179. ჯოხაძე
180. ჯებისაშვილი
181. ჯანგირაშვილი
182. ჯაბახიძე
183. ჯიხვიშვილი. [10; 50-54]

6.1 -ძე სუფიქსიანი გვარები

არჩვაძე - ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი გვარია საქართველოში. დაკავშირებულია წინაპრის სახელთან: არჩვა/არჩუა. შესაბამისად, ქართულ ანთროპონიმიკაში გვაქვს შემდეგი აღნიშნული ტოპონიმიდან წარმოშობილი გვარები: არჩვაძე, არჩუაძე, არჩუაშვილი, არჩვავა.

გვარი (არჩვაძე) ზემო რაჭიდან გავრცელდა იმერეთში, კახეთში, შიდა ქართლში. ამ გვარის უძველესი ხსენება იწყება 1500-იანი წლებიდან. 1559 წელს ქართლის მეფე სვიმონი სვეტიცხოველს განუახლებს ყმისა და მამულის შეწირულობას, სადაც იხსენიებიან გლეხი არჩვაძეები. XVII საუკუნიდან იგი იხსენიება ქართლშიც.

გვარს ჰყავს განშტოებული გვარებიც: ხიზანიშვილები, იმერლიშვილები… [32]

გურგენიძე - გურგენიძის გვარი ცნობილია XII საუკუნიდან. იჩქით გურგენიძე ისტორიული პიროვნება ყოფილა, რომელსაც აუშენებია წუნდის ეკლესია. ამ ფაქტის დამადასტურებელია წუნდის ეკლესიის წარწერა. იჩქით გურგენიძე მოხსენიებულია შოთა რუსთაველთან ერთად პალესტინაში. შესაძლებელია გვარი იჩქითი მომდინარეობდეს გურგენიძის საკუთარი სახელისგან. [10: 67]

რაზმაძე - ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი გვარია საქართველოში. ამ გვარის წარმომადგენლები სახლობენ რაჭაში, იმერეთში, კახეთში, თბილისში და განსაკუთრებით დიდი ოდენობით შიდა ქართლში, მათ შორის სოფელ მეჯვრისხევში.

ჩვენამდე მოღწეული წერილობითი წყაროების მიხედვით, გვარი პირველად 1558 წლიდან იხსენიება, კერძოდ, ქუთაისის საყდრის მებეგრეთა გადამხდელთა სიაში ამოვიკითხავთ როსტევან რაზმაძეს.

1621 წლის მაჩაბელთა და გაგნიძეთა ნასყიდობის შესახებ საბუთში მოწმედ არის დასახელებული სამაჩაბლოში მცხოვრები გლეხი რაზმაძე პაატა. [33]

ილურიძე - ამ გვარის წარმოშობის ადგილად მიჩნეულია ჭურთის ხევზე მდებარე სოფელი ილურთკარი, იგივე ილურთა. ილურიძე ყოფილან ელიაურების წინაპრები, რომლებიც ასევე ილურიანთკარიდან მეჯუდის ხეობის სოფელ ვილდაში გადადიან, ხოლო 1845 წელს აბრო ელიაური სოფელ მეჯვრისხევში სახლდება. ილურიძეების წინაპარი - პეტრე ილურიძე ქსანიდან, სოფელ ჭურთიდან მეჯვრისხევში ჯერ კიდევ 1803 წელს მისულა და დასახლებულა. [10: 74-75]

ლოლაძე - გავრცელებულია საგარეჯოში, ჭიათურაში, თბილისსა და შიდა ქართლში. შეიცავს ქალის საკუთარ სახელს - ლოლა. ლოლაძეთა წინაპარი იმერეთიდან გადმოსულან. ჩანდნენ ერეკლე მეფის დროს, 1695 წელს და ტრაქტატშიც არიან მოხსენიებულები, როგორც აზნაურები, რომლებიც იმერეთში არიან დასახლებულები და ნაწილი - ქართლში. [27]. 1802 წელს შედგენილ სიაში გიორგი XII დროინდელი თავადებისა და აზნაურების გვერდით, მოურავებად დასახელებულია მეჯვრისხევში მცხოვრები აზნაური: ლუარსაბ ლოლაძე.

კაპანაძე — აღნიშნული ქართული გვარი ქართულ საისტორიო საბუთებში მოიხსენიება XV საუკუნიდან. კაპანაძისეული მამული მოხსენებულია

მუჯისეთუბანში 1558 წლის ერთ-ერთ საბუთში, ამ მამულს ქუთაისის საყდრის გადასახადი სდებია. ამჟამად კაპანაძეები ცხოვრობენ იმერეთში, ოდიშში, გურია-აჭარაში, სამცხეში, ქართლში, კახეთში და ჰერეთში. განსაკუთრებით მრავლად არიან საჩხერის, ჭიათურის, ზესტაფონის, ხარაგაულის, ხაშურის და ლაგოდეხის მხარეებში. საქართველოში კაპანაძეთა საერთო რიცხვი 18 550-ს აჭარბებს. ლიხთიმერს და ლიხთამერს, ზოგიერთ ადგილებს სახელად შემორჩა კაპანაძეთა გვარის სახელი: „კაპანაძეები“ — სოფელ კორბოულის უბანი იმერეთში და სოფელ ფლევის უბანი — ქართლში, „კაპანაანთ სახნავი“ — ქართლის სოფელ თერეგვანში, „კაპანაძის წყარო“ გურიის სოფელ წყალწმინდაში და სხვა. [28]

ბაკურაძე - აღნიშნული გვარი ნაწარმოებია ბაკურისგან. ბაკურ (ირანული) ,, ღვთის შვილი", ,,ძე ღმრთისა". ეს სახელი ქართულში გავრცელებულია უძველესი დროიდან, გვხვდება ჯერ კიდევ პალესტინის ქართულ წარწერებში (V ს. 30-40-იანი წლები): ,,და ძუძეეულნი მათნი ბაკურ და გრი-ორმიზდ და ნაშობნი მათნი, ქრისტე… შეიწყალენ. ამენ". [26]

6.2 -შვილი სუფიქსიანი გვარები

ბეგიაშვილი - მეჯვრისხევში მცხოვრები ბეგიაშვილების გვარმა შემოინახა გადმოცემა იმის შესახებ, რომ მათი ერთ-ერთი წინაპარი ბეგი იყო, მანამ კი, სანამ ის ბეგის წოდებას მიიღებდა, გვარად იაშვილი ყოფილა. იაშვილმა თავის გვარს წოდება - ბეგი დაურთო. თავდაპირველად ეს ორი სიტყვა ,,ბეგი" და ,, იაშვილი" ცალ-ცალკე იხმარებოდა, დროთა განმავლობაში კი ერთმანეთს შეერწყა და წარმოიშვა ახალი გვარი - ბეგიაშვილი.

იაშვილი წარჩინებული ფეოდალური გვარია რაჭასა და იმერეთში. იაშვილთა სათავადოს ჩამოყალიბება სავარაუდოა XV საუკუნის მიწურულს. ყველაზე ადრინდელი ცნობა ამ საგვარეულოს შესახებ დაცულია 1432 წლის სიგელში.

ბეგიაშვილთა წინაპარი ბეგობას XIX საუკუნის დასაწყისში თუ მიიღებდა, რადგანაც: ,, როდესაც 1802 წელს რუსებმა დაიპყრეს საქართველო, მათ აქ დახვდათ ფეოდალური არისტოკრატია და მიწათმოქმედი გლეხობა. თითქმის მთელი

არისტოკრატია ატარებდა ,,ბეგის" ტიტულს, რაც ოდნავ მეტია, ვიდრე მეთაური". [5: 14]

საუკუნეების წინ, ბეგიაშვილების წინაპრებს სოფელ ქნუღში უცხოვრიათ. ქნუღიდან ნაწილი ბიყარში გადასულა, ნაწილი - კახეთში, სოფელ ანაგაში. ბიყრელები ჯერ ღრომში ჩამოსახლებულან, შემდეგ კი - მეჯვრისხევში. ბეგიაშვილებს ქნუღიდან წამოღებული აქვთ თავიანთი სალოცავის ნიში, რომელიც ამჟამად მეჯვრისხევში ბეგიაშვილების ხატის ვენახში დგას.

ბეგიაშვილები თაობიდან თაობას გადასცემენ ერთ-ერთი თავიანთი წინაპრის ამბავს. თურმე ლეგენდარული ბეგიაშვილი, რომელიც ასრულებდა ბეგის მოვალეობას და ხარკს კრეფდა, მუხრან-ბატონის კაცებმა აიკლეს და მთელი მისი სარჩო-საბადებელი გაიტაცეს. ამ ამბის გაგებისთანავე, ბეგიაშვილი დაეწია ბატონის კაცებს, მოურავს თავი მოსჭრა და თავისი ნაამაგარი სახლში მოიტანა. ამ ამბით გაგულისებული მუხრან-ბატონი მეჯვრისხევში ავიდა. ბეგიაშვილმა ბატონს საარაკო შეხვედრა მოუწყო, მისი გული მოინადირა და დაიკვეხა, ჩემი ღვინის მარაგით შემიძლია წისქვილი სამი დღე-ღამის განმავლობაში ვაბრუნოო.

ბეგიაშვილის უბადლო ვაჟკაცობით აღტაცებულმა მუხრან-ბატონმა მას იმდენი მამულები აჩუქა ღრომიდან ივრეთამდე, რის შემოვლასაც ცხენით ერთ დღეში შესძლებდა.

1778 წლის 20 მაისს, გიორგი XII უფლისწულობის პერიოდში, იასე ბეგიაშვილს აძლევს წყალობის წიგნს, რომელშიც წერია: ,,ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ შენ ჩვენსა ყმასა ბიყრელ ბეგიაშვილს შიოშს შვილს იასესას, შვილსა შენსა გიორგისა და მამავალსა სახლისა შენისათა; ასე რომ ლეკისაგან დატყვევებულიყავი და რამდენიმე ხანი ტყვედ ყოფილიყავი... მოხველ და შენის ნებით შენი თავი ჩვენ გვაყმევი და ივრეთს ჩვენის ყმის ფოსურის ბეითალმანის ამოწყეტილის მამულს დაგვეაჯე... შეგიწყალეთ და გიბოძეთ ივრეთს ფოსურის მამული თავისის სახლის ალაგითა, სახნავითა, მთითა, მინდვრითა, თავისი სამართლიანია სამძღვრებითა... და კიდევ მეჯვრისხევს ამავე ფოსურის ნაყიდი ვენახი... და რაც სახნავი მიწა ქონია... შენთვის გვიბიძია". [7: 59]

მეჯვრისხევში დღეს ბეგიაშვილების 32 კომლი ცხოვრობს, რომელთა დიდი უმრავლესობა სოფლის მეურნეობას მისდევს. [10: 56-59]

სუხიშვილი - 250 წლის წინათ იმერელი გლეხების - სუხიშვილების პატარა ჯგუფმა გადმოლახა ლიხის მთა და ქართლში გადმოვიდა. ეს ჯგუფი ორად გაიყო - ერთნი დასახლდნენ მეჯვრისხევში, მეორენი - ავჭალაში.

სუხიშვილების მეჯვრისხეველი წინაპრები საკმაოდ შეძლებული გლეხები ყოფილან. მათ საგვარეულო არქივში დიდხანს ინახებოდა რუსეთის იმპერატორის ბეჭდიანი ქაღალდი, რომელშიც ეწერა, რომ სუხიშვილებს ყმობისაგან თავი გამოსყიდული ჰქონიათ.

ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, გიორგი სუხიშვილმა ადგილობრივი მემამულე ზაალ ჩიკოიძისაგან შეისყიდა ადგილ-მამული, რაც სათანადო ნასყიდობის ქაღალდითაა გაფორმებული. ეს მამული სუხიშვილებმა საგულდაგულოდ შემოსაზღვრეს, თავში საწნახელი ააშენეს, ბოლოში საგვარეულო სამარხი გამოყვეს, საცხოვრებლად კი მეჯუდისპირი აირჩიეს.

ყოველივე ამის შემდეგ, წავიდნენ ჩიხაში, მამა-პაპის სალოცავი სამების საყდრის კედლიდან ერთი ქვა გამოიღეს, ჩამოიტანეს, საძირკველში ჩადეს და ზედ ნიში ააგეს.

ამ საშვილიშვილო საქმის მოთავენი იყვნენ ბიძაშვილები თომა და ივანე.

თომას ჩამომავლები იყვნენ ტატო და ილია. აქედან ტატო სოფელში დარჩა, ხოლო ილია თბილისში წავიდა.

იმ დროს, თბილისში, კუკიაზე რუსის ჯარის ერთი ნაწილი იდგა და პატარა ილია მოსამსახურედ დაუდგა ერთ რუს ოფიცერს, რომელსაც ფრანგი ცოლი ჰყავდა. ილიკომ აითვისა ფრანგული და რუსული ენები. მისი ცხოვრება ისე აეწყო, რომ იურიდიული განათლების მიღება შესძლო და ადვოკატობა დაიწყო. როდესაც ეკონომიკურად მოძლიერდა, მეჯვრისხევში ჩამოვიდა და ტატოს ვენახი უყიდა. ილიას ჰყავდა ორი ვაჟი - შალვა და ილიკო. სწორედ უმცროსი მოევლინა სამყაროს ცეკვის ჯადოქრად. დიდ ქართველ ქორეოგრაფს მამა თვალით არ უნახავს. კაცი, რომელმაც თავისი შრომისმოყვარეობითა და ძლიერი გონებით გადალახა ცხოვრებისეული უდიდესი დაბრკოლებები, 1906 წელს, გამოსვლების დროს,

თბილისში ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა. იმ დროს ილიკო ჯერ კიდევ არ იყო მოვლენილი ამ ქვეყანას.

დღეს სუხიშვილთა უფროსი თაობის წარმომადგენლებიდან ერთნი მოღვაწეობენ განათლებისა და კულტურის სფეროში, მეორენი კი ტრადიციულად სოფლის მეურნეობას მისდევენ. [10: 64-66]

კოჭლაშვილი - ამ გვარის წინაპარი უძილაური ფშავიდან ყოფილა, მას მთის ადათის მიხედვით, სისხლი მართებია, ამიტომ თავისი კუთხე მიუტოვებია და სოფელ მეჯვრისხევში ერისთავს შეჰკედლებია. ბატონს წარმოსადეგი ვაჟკაცი მოსწონებია და მისთვის მამული მიუცია. უძილაური მარჯვენა ფეხში ყოფილა დაჭრილი და კოჭლობდა. რადგანაც ის თავის გვარს მალავდა, ხალხმა მისი ჩამომავალი კოჭლაშვილად მონათლა. [10: 69]

ბლუაშვილი - ამ გვარის წარმომადგენელთა ძირი რაჭიდანაა. ისინი ჯერ ხარაგაულში მოსულან, შემდეგ კი - მეჯვრისხევში. მეჯვრისხეველი ბლუაშვილები ძველად იაშვილები ყოფილან. ბლუაშვილების წინაპარი იაშვილი ენაბლუ ყოფილა და ამის გამო შეარქვეს ბლუ იაშვილი. დროთა განმავლობაში ერთი ,,ი" ამოვარდა, საიდანაც ჩამოყალიბდა გვარი ბლუაშვილი. თავად ბლუაშვილების თქმით, მათი გვარის ზოგიერთ წევრს სიბლუე გენეტიკურად ჰქონია. [10: 73]

მღებრიშვილი - მღებრიშვილების გვარი ორ შტოდ არიან გაყოფილი: ძველ და ახალ მღებრიანად.

თავიანთი წინაპრების ისტორია კარგად ახსოვდათ ძველმღებრიანთა უხუცესებს - ჯორ-ზაქარას უმცროსი შვილის - დავითის შვილს სულიკო მღებრიშვილს, სულიკოს ბიძაშვილს - გიორგი მღებრიშვილს, ასევე ახალმღებრიანთა წარმომადგენელს, თამარ მღებრიშვილს. მათ დიდი სიამაყით მოუყოლიათ პროფესორ ბადრი რაზმაძისთვის მეჯვრისხეველი მღებრიშვილების თავგადასავალი.

მათი თქმით, მღებრიშვილთა წინაპრები - ორი ძმა XVII საუკუნეში მოსულან დღევანდელ ძველმღებრიანთა უბანში. ადრე ისინი კობახიძეები ყოფილან.

მღებრიშვილები იმდენად წელმაგარი გლეხები ყოფილან, რომ ხანდახან ბატონსაც კი უბრუნებდნენ სიტყვას. სწორედ ამის გამო, უმცროსი ძმა ერისთავს

სოფლიდან დაუთხოვია. უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახი კასპის რაიონის სოფელ ერთაწმინდას შეჰკედლებია.

უფროსი ძმის ჩამომავალს, რომელიც ერისთავმა სოფელში დატოვა, დღეს ძველმღებრიანად მოიხსენიებენ. ძველმღებრიანთაგან ყველაზე თვალსაჩინო პიროვნება ზაქარია ყოფილა, რომელსაც სიჯიუტის გამო, ბატონმა ჯორ-ზაქარა შეარქვა. სწორედ ამ ჯორ-ზაქარამ შთააგონა ხალხოსანი მწერალი და საზოგადო მოღვაწე სოფრომ მგალობლიშვილი, დაეწერა შესანიშნავი მოთხრობა ,,ჯორ-ზაქარა". სოფრომს ცოლად ჰყავდა მეჯვრისხეველი ასული ნინო მღებრიშვილი და, რა თქმა უნდა, კარგად იცნობდა როგორც სოფელს, ისე მღებრიშვილების გვარს.

აი, რას ამბობს თავად სოფრომ მგალობლიშვილი ჯორ-ზაქარას შესახებ: ,, მეჯვრისხეველი გლეხის ზაქარია მღებრიშვილის ხასიათი, მისწრაფებანი ერთად შევკრიბე და მასალა დავუდე ჩემს ,, ჯორ-ზაქარას". [14: 91]

მეჯვრისხეველები კარგად ანსხვავებენ ერთმანეთისგან ჯორ-ზაქარას - მოთხრობის გმირსა და ჯორ-ზაქარას, რეალურ პიროვნებას. მათ წინაპართაგან ახსოვთ, რომ ჯორ-ზაქარა იყო გოლიათური აღნაგობისა და შეუპოვარი ხასიათის. მას, როგორც სოფლის გლეხკაცობის წინამძღოლს დავა ჰქონდა ესტატე ერისთავთან ლომისის ტყის გამო, რომელიც ოდითგან გლეხების საკუთრება იყო და, ასევე, საკუთარი ნაფუძარის გამოც, რომელიც ხბოს ტყავზე დაწერილი სიგელის სახით ჯორ-ზაქარას წინაპარს ერისთავებისგან ჰქონდა ნაბოძები. ბევრს ცდილან ერისთავები, ზაქარიასთვის მიწის ნაკვეთი წაერთმიათ, ჯერ მოტყუებით ხბოსტყავიანი სიგელი გამოურთმევიათ და დაუწვიათ, შემდეგ ნაკვეთს უფუჭებდნენ მსხვილფეხა საქონლით, სასამართლოშიც ბევრი ატარეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. სწორედ ამით დაიმკვიდრა ზაქარიამ ხსენებული მეტსახელი.

ზაქარა 1913 წელს გარდაიცვალა, მას სამი ვაჟი ჰყოლია: ტიტო, მიხა და დათა. ტიტო მამის ხასიათისა ყოფილა და, თურმე იოლად თავს არავის დააჩაგვრინებდა. ის 1905 წელს რევოლუციურად განწყობილი გორის რაიონის გლეხობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო და ღალატით მოკლეს ლომისის ტყის ახლოს.

ახალმღებრიანების - ერმონია და თამარ მღებრიშვილის თქმით, მათი პაპისპაპა ესტატე ტყუპის ცალივით ჰგავდა გაუტეხლობით ჯორ-ზაქარას. იგი თარხან-

მოურავთან უთანხმოების გამო, კასპის რაიონიდან ცოლშვილიანად მეჯვრისხევში დაბრუნებულა კვლავ. ესტატე თავდაპირველად დღევანდელი ბაზრის ტერიტორიაზე დასახლებულა, შეუკედლებია მღვდელს გვარად გამრეკელაშვილს, რომელსაც ცოლად მღებრიშვილის ქალი ჰყოლია. შემდეგში თულაშვილს მიუცია მისთვის მამული და უყმია. ასე დასახლებულან დღევანდელ თავის მამულში ახალმღებრიანი. [10: 59-63]

თავი VII - ანთროპონიმები (მეტსახელები)

ანთროპონიმიკა ადამიანის გვარებისა და სახელების შემსწავლელი მეცნიერებაა. ეს ტერმინიც მომდინარეობს ბერძნულიდან **ანთროპოს „ადამიანი"** და **ონიმა - „სახელი".** ანთროპონიმიკა ონომასტიკის ერთ განშტოებას წარმოადგენს. იგი ენათმეცნიერების დარგია და საკუთარ სახელებს შეისწავლის. ამასთან ერთად, შეისწავლის ზედმეტსახელებს (თიკუნებს), ფსევდონიმებს, ზედწოდებებს, კომლთა სახელებს, კრიპტონიმებს, ანუ ფიქტონიმებს და სხვა. [24: 214]

პაატა ცხადაია აღნიშნავს: დამატებით არაოფიციალურ სახელს, რომელსაც არქმევენ ადამიანს დამახასიათებელი ნიშან-თვისებით, ქცევა-მანერის, მისწრაფების, საქმიანობის, გარეგნობის, ანალოგიის, წარმომავლობის ან თავს გადამხდარი შემთხვევის მიხედვით, ეწოდება მეტსახელი. [21: 150]

სოფელ მეჯვრისხევში გავრცელებული მეტსახელები სხვადასხვა შინაარსის არიან, კერძოდ, ისინი გამოხატავენ: გარეგნობას, თვისებებს, თევზებთან, ცხოველებთან, ფრინველებთან მსგავსებას, ფიზიკურ, გონებრივ, თვისებრივ ნაკლს და სხვ.

სოფელში გამოიყო მეტსახელთა 8 სემანტიკური ჯგუფი, რომლებიც ქვემოთ წარმოდგენილია ჩვენ მიერ მოძიებული შესაბამისი მაგალითებით.

7.1 ცნობილი პირების სახელები მეტსახელებში:

გაგარინი - მეტსახელი ერქვა იური და აქედან გამომდინარე, თანასოფლელებმა შეარქვეს გაგარინი.

გარინჩა - მეტსახელი შეერქვა ბრაზილიელ ფეხბურთელთან მსგავსების გამო, კერძოდ, ფეხებზე ნაკლის გამო.

დონ ფილია - მეტსახელი შეერქვა ერთ-ერთი სერიალის გმირთან თვისობრივი მახასიათებლების მსგავსების გამო.

კარდაშა - მეტსახელი შეერქვა ცნობილ მსახიობთან და მოდელთან კიმ კარდაშიანთან მსგავსების გამო.

მარიო ჩიმარო - მეტსახელი შეერქვა ერთ-ერთი ბრაზილიური სერიალის მთავარ გმირთან ,,ხუანთან" ვარცხნილობის მსგავსების გამო, კერძოდ, აქვს გრძელი და ხვეული თმა.

ობამა - მეტსახელი შეერქვა ამერიკის პრეზიდენტთან შავკანიანობით მსგავსების გამო.

პაპი - მეტსახელი შეერქვა ბიჭს, რომელიც ბავშვობაში პაპას ეძახდა კნინობითი-მოფერებითი სიტყვით ,,პაპი".

ჰიტლერა - მეტსახელი შეერქვა გერმანელი პოლიტიკოსის ადოლფ ჰიტლერის ვარცხნილობასთან მსგავსების გამო.

პუშკინა - მეტსახელი შეერქვა რუსი პოეტის ალექსანდრე პუშკინის ვარცხნილობასთან მსგავსების გამო.

ჯეჯელავა - მეტსახელი შეერქვა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის ყოფილ მინისტრთან ალექსანდრე ჯეჯელავასთან ფიზიკური მსგავსების გამო.

ჯოშკუნი - მეტსახელი შეერქვა ერთ-ერთი სერიალის გმირის ,,ჯოშკუნის" მიხედვით, რადგან ორივე მათგანი სიარულის დროს იყენებდა ხელჯოხს.

7.2 ლიტერატურული გმირებისა და მხატვრული პერსონაჟების სახელები მეტსახელებში

კვაჭი - მეტსახელი შეერქვა მიხეილ ჯავახიშვილის ,,კვაჭი კვაჭანტირაძის მთავარ პერსონაჟთან ,,კვაჭისთან" თვისებებისა და ქცევა-მანერების მსგავსების გამო.

მერკუციო - მეტსახელი შეერქვა უილიამ შექსპირის ,, რომეო და ჯულიეტას" პერსონაჟთან ,,მერკუციოსთან" თვისებათა მსგავსების გამო.

პოსეიდონა - *(ბერძნ.)* ზღვათა ღვთაება. შეერქვა, რადგან სოფელში მუშაობს ბაღ-ვენახების მოსარწყავად.

ქაჯანა - მეტსახელი შეერქვა ნიკო ლომოურის ,,ქაჯანას" მთავარ პერსონაჟთან ხასიათის მსგავსების გამო.

ცრუპენტელა - მეტსახელი შეერქვა ი. გოგებაშვილის ,,ცრუპენტელას" მთავარ პერსონაჟთან მსგავსების გამო. ამ პერსონაჟის მსგავსად, ბავშვობაში ისიც სულ იტყუებოდა.

ხელმარჯვე ოსტატი - მეტსახელი შეერქვა კონსტანტინე გამსახურდიას ,,დიდოსტატის მარჯვენას" ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟთან მსგავსების გამო. კერძოდ, იგი არის შესანიშნავი ხელმარჯვე ადამიანი სამშენებლო საქმიანობაში.

ჯაყო - მეტსახელი შეერქვა მიხეილ ჯავახიშვილის ,,ჯაყოს ხიზნებში" ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟთან ფიზიკური მსგავსების გამო.

7.3 გარეგნობის გამომხატველი მეტსახელები

ბასტი - მეტსახელი შეერქვა სატელევზიო გადაცემის ,,ბასტი-ბუბუ" გმირთან ფიზიკური მსგავსების გამო.

ბაყბაყა - მეტსახელი შეერქვა სიმსუქნის გამო.

ბომბორა - მეტსახელი შეერქვა დიდი ტანის გამო.

ბოჭკა - მეტსახელი შეარქვეს დაბალ და მსუქან კაცს.

გლობუსა - მეტსახელი თანასოფლელებმა შეარქვეს დიდი (გლობუსივით) თავის გამო.

გლორია - მეტსახელი შეარქვეს მულტფილმის ,,მადაგასკარი" პერსონაჟთან ,,გლორიასთან" გარეგნული მსგავსების გამო.

გუდრონი - მეტსახელი თანასოფლელებმა შეარქვეს სიშავის, მუქი კანის ფერის გამო.

ვაკაჭი - მეტსახელი შეერქვა ერთ-ერთი სატელევიზიო გადაცემის გმირთან ,,ვაკაჭისთან" კბილების მსგავსებისა და მეტყველების მანერის მსგავსების გამო.

კეხურა - მეტსახელი თანასოფლელებმა შეარქვეს ლოყების სიწითლის გამო.

კურკა - მეტსახელი დაარქვეს პატარა და დაბალ კაცს, იგივე მეტსახელი აქვს დღეს მის შვილიშვილსაც.

მამაო - მეტსახელი შეერქვა გრძელი წვერის გამო.

პაჟარა - მეტსახელი დაარქვეს თანასოფლელებმა პატარა ბიჭს, რომელმაც ბაღში ხანძარი გააჩინა.

ჟორა - მეტსახელი შეარქვეს მულტფილმის ,,მადაგასკარი" პერსონაჟთან ,,ჟორასთან" გარეგნული მსგავსების გამო.

სიმინდა - სიმინდს ყიდის და ამიტომ შეარქვეს ეს მეტსახელი.

ტამბუხა - მეტსახელი დაარქვეს შესახედავად მოუხეშავ კაცს.

ტარო - ტაროსავით გრძელი და წვრილია, ამიტომ შეარქვეს ეს მეტსახელი.

ყურშა - მეტსახელი დაერქვა ბიჭს, დიდი ყურების გამო.

შუქნიშანა - მეტსახელი კლასელებმა დაარქვეს წითურ გოგონას.

ჩაქუჩა - მეტსახელი დაერქვა კაცს, ჩაქუჩის მსგავსი თავის გამო.

ხალა - დაერქვა სახეზე ხალების სიმრავლის გამო.

ჯღანა - მეტსახელი შეერქვა არასასიამოვნო გარეგნობის გამო.

7.4 თევზის, ცხოველების და ფრინველთა მსგავსებსი გამო შერქმეული მეტსახელები

ბაჭია - მეტსახელი შეერქვა პატარა გოგონას, რომელსაც ძალიან თეთრი ფერის კანია აქვს.

ზებრა - მეტსახელი შეერქვა ზოლიანი მაისურის ხშირად ტარების გამო.

თაგვია - მეტსახელი დაერქვა პატარა, დაბალი ტანის მქონე კაცს.

კრუხა - მეტსახელი დაერქვა ქალს, რომელსაც დიდხანს ერთ ადგილას ჯდომა უყვარდა.

ლიაგუშკა - ჰქვია ქალს, რომელსაც დიდი თვალები აქვს.

მელა - მეტსახელი კლასელებმა შეარქვეს ბიჭს, რომელსაც მელას მსგავსი თვისებები გააჩნდა.

რწყილა - ბავშვობაში რწყილივით დახტოდა და ამიტომ შეერქვა მეტსახელი.

ტურა - მეტსახელი შეერქვა ტურასთან გარეგნული მსგავსების გამო.

ჭია - ბავშვობაში ჭიებს ჭამდა და ამიტომ დაარქვეს ეს მეტსახელი.

ჭუკია - მეტსახელი შეერქვა მსუბუქი, ჭუკიის მსგავსი წონის გამო. თანასოფლელები ამ სახელით იცნობენ.

7.5 ფიზიკური, გონებრივი და სხვა თვისებრივი ნაკლის გამომხატველი მეტსახელები

ბაჩია - მეტსახელი შეერქვა პატარა ზომის ფეხის გამო.

დედალა - ბავშვობაში ეშინოდა ქათმების და აქედან დაერქვა ეს მეტსახელი.

კრეტინი - როდესაც რამეს ეკითხებიან, არასწორად და უშინაარსოდ პასუხობს, ამიტომ შეერქვა ეს მეტსახელი.

ჟანგიანი - მეტსახელი თანასოფლელებმა დაარქვეს მოყვითალო ფერის კანის გამო.

ტუჩა - მეტსახელი შეერქვა კურდღლის ტუჩის გამო.

7.6 თვისების და ხასიათის მიხედვით შერქმეული მეტსახელები

ბოთლა - ბავშვობაში ბოთლებს აგროვებდა და აქედან გამომდინარე შეერქვა ეს მეტსახელი.

ბუზღუნა - ბავშვის მეტსახელია, რომელიც ლაპარაკის დროს სულ ბუზღუნებს.

გენიოსა - ძალიან ჭკვიანი და ნიჭიერია და მასწავლებელმა შეარქვა მეტსახელი.

ეშმაკი - თვისებების გამო შეარქვეს ეს მეტსახელი თანასოფლელებმა.

ვირიჭკუა - მეტსახელი შეერქვა ხასიათიდან გამომდინარე.

იმერელი - მეტსახელი ჰქვია ქალს, რომელიც იმერეთიდან არის გამოთხოვილი და დღემდე იმეული აქცენტით მეტყველებს.

კორონა - პანდემიის პირობებიდან გამომდინარე, გამუდმებით კორონა ვირუსზე (COVID-19) ლაპარაკის გამო შეერქვა ეს მეტსახელი.

კრუსუნა - მეტსახელი ჰქვია ბავშვს, რომელიც საუბრის დროს სულ წკმუტუნებს.

მარიაჟი - მეტსახელი თანასოფლელებმა შეარქვეს ხასიათისა და თვისებების გამო.

მეზღაპრე - მეტსახელი ჰქვია კაცს, რომელიც ლაპარაკისას იგონებს ამბებს და ცდილობს ადამიანების მოტყუებას.

მუდო - შეერქვა ხასიათის გამო.

სიკვდილა - თანასოფლელებამა შეარქვეს ქალს, რომელიც რამდენჯერმე სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს.

სლოკინა - მეტსახელი შეერქვა ხშირი სლოკინის გამო.

ქურდი - ბავშვობაში იპარავდა სათამაშოებს და ამიტომ დაერქვა ეს მეტსახელი.

ქუჯა - მეტსახელი თანასოფლელებმა შეარქვეს ხელმომჭირნეობის გამო.

ყრუნდევი - როდესაც რამეს ეკითხებიან, იცის ,,ყურის მოყრუება" და ამიტომ დაერქვა მეტსახელი.

ჭამელა - მეტსახელი დაერქვა ზედმეტად ჭამისმოყვარეობის გამო.

ხისთავა - მეტსახელი მეგობრებმა დაარქვეს ბიჭს, რომელსაც ვერაფერს ვერ ასმენდნენ, რაც თვითონ არ უნდოდა.

ჯეკა - მეტსახელი შეერქვა საკუთარი ძაღლისგან, რადგან მასაც გარეთ უყვარდა სიარული.

7.7 უცნობი სემანტიკის გამომხატველი მეტსახელები

ლუპუა, ტროყე, რონე, ტოორქსინი, ტაშო, ტიტნია, პათხა, ქექლია, ქამე, აჭაჭო, აჯილა, აფია, აჭუკა, ბრეთუხა, ბოქო, გვერდელა, გამია, ბუღიტა, ბანდელა. დუშმანი, დუნცულა, დუკია, დომხლი-პარკი, დოხჩიკო, ზიმპა, კოტო, კაპო, კურდუხა, კონკორა, კიპია, კორტნია, კოჟოია, კუწია, ლენგერი, ლეკო, ლოპრონა, ნახნიო, ნიცა, ოჩო, ოტო, ოღლუა, პლენი, პიო, პასკანა, პლუტო, პოჩე, სლიპე, ყინწორა, ყაყე, შარვალა, შეთე შიფერა, ცხენის ბუზი, ხრაკა, ჯეჯია, ჯალია და სხვ.

7.8 კნინობით - მოფერებითი, ალერსის გამომხატველი მეტსახელები

სოფელში მრავლად გვხვდება კნინობით-მოფერებითი მეტსახელები:

- ი - კო : თამარი -თამრიკო, ელენე - ელიკო, ნანა - ნანიკო, მარი - მარიკო, ვანო - ვანიკო, შალვა - შალოკო, ანა - ანიკო, ზურა - ზურიკო, ნათია - ნათიკო, ემზარი - ემზიკო, მანანა - მანანიკო, ნინო - ნინიკო, სოფო - სოფიკო, მზია -მზიკო, შოთა - შოთიკო, ლილე - ლილიკო, ზურა - ზურიკო, მერი - მერიკო, ციალა - ციკო, მერაბი - მერაბიკო, ნოდარი - ნოდიკო...

- უნა : თამარი - თამუნა, დავითი - დათუნა, ეთერი -ეთუნა, ვახო - ვახუნა, ციკო - ციკუნა, თიკო -თიკუნა...

-ა : თამარი - თამარა, გიორგი - გიორგა, დავითი - დავითა, ემზარი - ემზარა, მერაბი - მერაბა, თამაზი - თამაზა, ნოდარი - ნოდარა, არჩილი - არჩილა, ნუგზარი - ნუგზარა...

თავი VIII - ზოონიმები

ზოონიმები (ბერძნ. ზოონ ,,ცხოველი”) ონიმის ერთ-ერთი სახეობაა, კერძოდ, ნებისმიერი ცხოველის საკუთარი სახელია. ზოონიმთა ერთობლიობას ზოონიმია ეწოდება, ხოლო ონომასტიკის დარგს, რომელიც ზოონიმებს შეისწავლის ზოონიმიკა. [21: 180]

ზოონიმები, როგორც ცნობილია ხშირ შემთხვევაში მოტივირებულია სახელდებულის რაიმე ნიშან-თვისებით, სახელმდებლის მასთან დამოკიდებულებით, რაღაცა მოვლენით და ა.შ . [24: 342).

8.2 პირუტყვთა სახელები

სოფელი მეჯვრისხევი გამოირჩევა ზოონიმების არსებობითაც. ოჯახებში ჰყავთ პირუტყვი, რომელთაც სხვადასხვა სახელები აქვთ. სოფელში გვხვდება პირუტყვის შემდეგი სახელები:

თაფლა - მეტსახელი შეერქვა თაფლისფერი შეფერილობის გამო.

თებრონე - პირუტყვი დაიბადა თებერვლის თვეში და ამიტომ დაარქვეს ეს მეტსახელი.

მაია - გარეგნულად არის ძალიან ნაზი და ლამაზი.

მაისო - დაიბადა მაისის თვეში და შეერქვა ეს მეტსახელი.

მურა - მეტსახელი შეერქვა მუქი შეფერილობის გამო.

ნიშა - პირუტყვს შუბლზე აქვს დიდი თეთრი ნიშანი და აქედან გამომდინარე შეერქვა.

ობოლა - მეტსახელი შეერქვა ობლობის გამო.

წაბლა - პირუტყვის შეფერილობით არის წაბლისფერი.

წითელა - შეფერილობით არის წითელი.

ჭრელა - ტანზე არის შავთეთრად აჭრელებული.

8.2 ფრინველთა სახელები

სოფელში გვხვდება ფრინველთა სახელებიც, თუმცა მცირე რაოდენობით, ესენია:

ბაჯბაჯა - ჰქვია ქათამს, რომელსაც ფეხებზე აქვს ბუმბულები.

ბაჩაჩა - ჰქვია მსუქან ქათამს, რომელიც სიარულის დროს დაბაჯბაჯებს.

კოკო - სახელი დაარქვეს ქათამს, მისი ხმიანობიდან გამომდინარე.

ლამაზო - შესახედად არის თეთრი და ძალიან ლამაზი ქათამი.

ქოჩორა - ქათმის სახელია, რომელსაც თავზე ქოჩორი აქვს.

ყელტიტველა - ქათმის სახელი, რომელსაც ყელზე არ აქვს ბუმბული, ყელი აქვს მოტიტვლებული.

ყიყლიყო - ესეც ქათმის სახელია, რომელსაც შეერქვა მისი ხმიანობის გამო.

დასკვნა

მოცემულ სამაგისტრო ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა სოფელ მეჯვრისხევში არსებული ონომასტიკური მასალა. აღნიშნული მასალა აღვწერეთ და დავაჯგუფეთ. სოფლის მკვიდრი მოსახლეობის გამოკითხვის, ისტორიული და დოკუმენტური წყაროების საფუძველზე აღვწერეთ მეჯვრისხევის სიძველეები, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, ტოპონიმები, ანთროპონიმები.

სოფელ მეჯვრისხევში დაცული გვარ-სახელებიდან განსაკუთრებული მრავალრიცხოვნობით გამოირჩევა -ძე და -შვილ სუფიქსებზე დაბოლოებული გვარები, თუმცა, აქედან კიდევ უფრო მეტად შვილ-ზე დაბოლოებული გვარებია გავრცელებული.

მრავალფეროვნებით გამოირჩევა სოფლის ანთროპონიმები, რომლებიც დაიყო შემდეგი ნიშნებით: ცნობილი პირების სახელები მეტსახელებში, ლიტერატურული გმირებისა და მხატვრული პერსონაჟების სახელები მეტსახელებში, გარეგნობის გამომხატველი მეტსახელები, თევზის, ცხოველების და ფრინველთა მსგავსებით შერქმეული მეტსახელები, ფიზიკური, გონებრივი და სხვა თვისებრივი ნაკლის გამომხატველი მეტსახელები, თვისების და ხასიათის მიხედვით შერქმეული მეტსახელები, უცნობი სემანტიკის გამომხატველი მეტსახელები, კნინობით - მოფერებითი, ალერსის გამომხატველი მეტსახელები.

ტოპონიმიკური მასალის კვლევისას გამოოყო ტოპონიმთა სამი ძირითადი ჯგუფი: 1. მარტივი, 2. წარმოქმნილი და 3. სიტყვათშეერთებით ნაწარმოები. კვლევისას შევნიშნეთ, რომ მარტივფუძიანი ტოპონიმები სოფელში არის მცირე რაოდენობის.

სოფელში დაცული ჰიდრონიმები დაჯგუფდა ძირეულ და სიტყვათშეერთების გზით მიღებულ ჰიდრონიმებად. აქედან, გაცილებით მეტია სიტყვათშეერთების გზით მიღებული ჰიდრონიმები.

აღიწერა სოფლის სიძველეები: ეკლესიები, შინ მოუსვლელთა ტყე-პარკი, საფლავის წარწერები, ესტატე ერისთავის საცხოვრებელი სახლი, მირმანოზ ერისთავის ციხე-სასახლე, კოტე და შალვა ერისთავების სასახლე, ანასტასია ერისთავი - ხოშტარიას საცხოვრებელი სახლი.

ზოონიმების კვლევისას გამოიყო ზოონიმთა ორი ჯგუფი: პირუტყვთა სახელები და ფრინველთა სახელები.

ვფიქრობთ, რომ სოფელში დაცული ონომასტიკური მასალის შესწავლით გარკვეულწილად დავეხმარებით ჩვენი ქვეყნის ონომასტიკური მასალის კვლევას.

მოცემულ ნაშრომში წარმოვადგინეთ გორის რაიონის ერთ-ერთი სოფლის - მეჯვრისხევის ონომასტიკური მასალა, რაც საკმაოდ მდიდარი აღმოჩნდა. მიგვაჩნია, რომ მომავალში საინტერესო იქნება გორის სხვა სოფლების ონომასტიკის შესწავლა, შემდეგ ერთმანეთთან შედარება და ენათმეცნიერული ანალიზის გაკეთება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალაზნელი ილო, შესართაველი ფალავნები, ,, საბჭოთა საქართველო", თბ., 1963, გვ.100
2. ახუაშვილი ი., ქართული გვარ-სახელები, ,,განათლება'', თბილისი1994
3. ბარნაველი თეიმურაზ, ჟურნ. ,,მაცნე'', საქ. მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო, გამომც. ,,მეცნიერება'', თბ., 1969, N1, გვ. 191, 201
4. ბედოშვილი გრ., ერწო–თიანეთის ტოპონიმია, ,, მეცნიერება'', თბილისი 1980
5. გაზ. ,, ლიტერატურული საქართველო", 25 მაისი, გვ. 14, 1996
6. გოდერძიშვილი ქ., ქართველური ანთროპონიმიკის ძირითადი საკითხები, ,,უნივერსალი'', თბილისი 2012
7. გორის დამოუკიდებული პედაგოგიური ინსტიტუტი, ინსტიტუტის შრომათა კრებული, ქ. გორი, 1995, გვ. 59
8. თოფჩიშვილი რ., ეთნოისტორიული ეტიუდები, წიგნი I, ,,ენა და კულტურა'', თბილისი 2005.
9. ჟორდანია თედო, ქრონიკები, ტ. III, ,,მეცნიერება“, თბილისი 1967 გვ. 317
10. რაზმაძე ბადრი, მეჯვრისხევის ისტორია, ,,უნივერსალი“, თბილისი 2015.
11. რუსეთის იმპერიის გეოგრაფიულ-სტატისტიკური ლექსიკონი, ტ. III, სანკტ-პეტერბურგი, 1867, გვ. 203
12. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წიგნი V, თბილისი 1990.
13. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970, გვ. 274-275
14. ს. მგალობლიშვილის მოგონება, 1938, გვ. 91
15. ტოპონომიკური კრებული, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ.,
16. 1993, გვ, 14

17. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ.II, საქ. სსრ. მეც. აკად, თბილისი , 1951
18. ,,ქართლის ცხოვრება", ტ. IV, ,,საბჭოთა საქართველო", თბილისი 1973გვ. 368
19. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ,,მეცნიერება", თბილისი 1965 გვ. 426
20. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, ,,მეცნიერება", 1981
21. ღლონტი ალ., ტოპონიმიკური ძიებანი, ნაწილი I, ,თსუ–ს გამომცემლობა, თბილისი, 1971
22. ცხადაია პ., ონომასტიკის შესავალი, ,,უნივერსალი", თბილისი, 2005
23. ჭუმბურიძე ზ., დედაენა ქართული, ,, ნაკადული", თბილისი, 1987
24. ჭყონია ი., ,,ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, ნაწილი I, საქ. სსრ. მეცნ. აკად. თბილისი, 1955
25. ხორნაული გ., ქართული ონომასტიკა, ,,თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა", თბილისი, 2003
26. ჯორბენაძე ბ., ონომასტიკური გულანი, ,, მეცნიერება", თბ., 1993

ელექტრონული რესურსები:

27. ვაჟის სახელები [http://www.geogen.ge/ge/msearch/4305/]
28. ინფორმაცია 40 პოპულარული ქართული გვარის შესახებ [https://www.ambebi.ge/article/149611-inpormacia-40-popularuli-kartuli-gvaris-shesaxeb/
29. კაპანაძეები [https://ka.m.wikipedia.org/wiki/კაპანაძეები]
30. მეჯუდა [http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=25&t=1022]
31. მირმანოზ ერისთავის ციხე-სახლი (XVII-XVIII სს) [http://www.dzeglebi.ge/dzeglebi/m/mirmanoz_eristavi.html#2]
32. ოიკონიმია როგორც ტოპონიმიის სახეობა და მისი სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებანი ფრანგულ და ქართულ ენებში [https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_3515_1.pdf]
33. ქართული გვარების ისტორია - არჩვაძე [https://www.youtube.com/watch?v=ikfR-Yq_tbw]

34. ქართული გვარების ისტორია - რაზმაძე

[https://www.youtube.com/watch?v=JGVR3NOKQR8&app=desktop]

საილუსტრაციო მასალა

სურ. 1: სოფელი მეჯვრისხევი

სურ. 2: წმინდა გიორგის სახელობის უსანეთის ეკლესია

სურ. 3: ღვთისმშობლის ეკლესია

სურ. 4: წმინდა გიორგის ნიში

სურ. 5: შინ მოუსვლელთა ტყე-პარკი

სურ. 6: მირმანოზ ერისთავის ციხე-სასახლე

სურ. 7: მდინარე მეჯუდა

სურ. 8: ქეცხურის ჩანჩქერი

სურ. 9: ლოლაანთ წყარო

სურ. 10: ლოლაანთ ჩანჩქერი